

ანზორ პაპუხალია

მასალები

„საბრალოდებო

ფასკუნისთვის“

თბილისი

2013

# რედაქტორი: გოგი დოლიძე

ტექნიკური

რედაქტორი: პახა მახარაშვილი

ოპერატორი: თამუნა აცრაშვიძე

დაიბეჭდა „გამომცემლობა სამშობლოში“  
მის.: თბილისი, რობაქიძის 7; ტელ.: 551 95 31 90

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-0-6164-6

ავტორისაგან

თავზენს განსახილულად წატმოდგენილი თექილების, ამონარტიდებისა და რამდენიმე მასალის სტული ვერსიის კტებული, ალბათ, გატკვეულ წატმოდგენას შეგიძმნით აუცორის პოზიციაზე ქვეყნის მრავალ საცვიდატან და-კავშირშით, ბოლოლებიც ზრცლად და კონკრეტული წინა-დაღებით, გაშეფრმულია ჩვენს მიერ მრავალი წლის განმავლობაში გამოწვევებულ რამდენიმე ათეულ პუბ-ლიკაციასა და ოთიციალურ ღოვებებში. აჭვე მითითე-ბულია მათი გამოწვევების თარიღი, რათა მკითხველმა თავად გააკეთოს დასკვნა, რა პერიოდში და რა ვითარე-ბაშია ისინი დათიდესირებული.

ვთვისტობდი, ამ კრებულისთვის გამოტომია: „შეცდომები, განაშაულები გა შეღეგვი“ მაგრამ, რამდენიმე ან-გარიშგასახწყვი პიროვნების რჩევით, გავთანხმდი ვარსდას — „მასალები სამრალიერო გასკვნისთვის“. ამასთან, თე-მაცივის შეტჩვაში მკითხველის ორინცაციის გამარცი-ვებისთვის, თეჭისები გა ამონარიდები თავმოყრილია თე-მაცეტი პრინციპით. რაც შეხება ძველავების სახელმწ-ოებეს, გარდა პირველისა, ისინი აღმოჩნდი გვაძვს, წლე-ბის განმავლობაში ჩვენს მიერვე გამოწვევნებული მასა-ლების სათაფრებიდან.

ხელისუფთლობის მცრიდან ძველნის მართვაში ღაშვებული უხეში შემომარტინებული გამოიყენებოდა და სწორ შემთხვევაში უმძიმესი დანაშაულობრივი ქმრის მიღების გამო მიღებული შედეგი, როგორც კონკრეტული შემთხვევა — შემებლოვ და მეცალებოდა კიდევ,

გამომისახა უფრო მეცნი კონკრეტული ციფრებით, დიაგ-რამებით, ცხრილებით და ა.შ. მაგრამ იმის გათვალისწი-ნებით, რომ ისინი თანაბრავ აღსაძმებული იყოს ნებისმი-ერი პროცესისა და ნებისმიერი ღონის მკითხველისთვის, დასკვნით სიცემას გაძლიერებული 17 წლის გილრები სისაუტს, რომელმაც, ჭვეულაში შემნიღლი მდგომარეობა, უმაღლეს გადმოსცა თავის წიგნში „მათხოვების ღლიურები“ (თბი-ლისი, 2012 წელი), რომლის შემთხვეული ვერსია სათა-უტით, „მე არ ვიცი, რა არის სიყვარული...“ გამოვაძლენი გაჩით „საჭართველის რეპერტუაში“. ამ საგაჩითო პერ-ლიკაციას გთავაზომოთ სრული სახით.

P.S. იმის გამო, რომ ჩემი ძვირფასი მკითხველი თვალცრემლიანი, გულ-გატეხილი და უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი არ მივატოვო, დასას-რულ, გთავაზობთ კიდევ ერთი ინტერვიუს სრულ ვერსიას „იქნებ ჩვენცა გვებავს ჩვენი მრავალდი?“.

# „რა კარ, ქე კარ...“

\* \* \*

გქონდეს პრეტენზია, რომ ზარ ნაღდი ქართველი, ეს ძალზე მძიმე ტვირთი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამიტომ ამაზე თავის დადების უფლებას ჩემ თავს ვერ მივცემ. ჩემამდე მოღწეული ვერსიით, ჩვენი წინაპრები გელოვანები ყოფილან სვანეთიდან. ერთი მათგანისათვის – ბერიკა გელოვანისათვის შვილიშვილი მოუკლავთ და, მაშინდელი წესის შესაბამისად, სისხლი აუღია. მისთვის მეტსახელად “ბაბუა-ხადია” დაურქმევიათ (ე.ი. ბაბუამ სამაგიერო გადაიხადაო). ამის შემდეგ სვანეთში აღარ დაედგომებოდა და თავი შუფარებია ოკრიბის ერთ-ერთი სოფლის, კითხიჯისათვის, რომელიც ტყიბულის რაიონში, სოფ. ორპირიდან 7-8 კილომეტრში მდებარეობს, ე.ი. ყველა ბაბუხადიას წინაპრად ბერიკა გელოვანი-ბაბუხადია ითვლება და ამდენად ყველა ბაბუხადია ერთმანეთის ნათესავებად ვთვლებით. ბერიკას მეორე ძმა, კახეთში გადასულა და იქ დასახლებულა. გამოდის, რომ დღეისათვის კახეთში მცხოვრები გელოვანები, ჩვენი დიდი წინაპრის – ბერიკას განაყოფები არიან.

\* \* \*

ბავშვობის ყველაზე ლამაზი მოგონებები უკავშირდება ტყიბულის რაიონის სოფელ კითხიჯს, სადაც ზაფხულის არდაღებების დროს მიწევდა მცირე ხნით ყოფნა. ბავშვს თუ სოფელში ცოტა ხნით მაინც არ უცხოვრია, ბევრი აქეს დაკარგული. ურმის გემოს კი არა, ლადო ასათიანის პოეზიის მაღლის გაგებაც კი გაუჭირ-

დება. კაცად პირველად მაშინ ვიგრძენი თავი, როცა დამოუკიდებლად წისქვილში ურმით საფქვავის წაღებისა და ტყიდან შეშის მოტანის უფლება მოვიპოვე. ორი ზაფხული სოფ. ნოსირშიც (სენაკის რ-ნი) მაქვს გატარებული და მდიანრე ტეხურთან ვარკვებდი ჩემს ურთიერთობებს...

ჩემ თავს უფლებას ვერ მივცემ, სოფლის ფასისა და მადლის საკითხს უფრო ჩავუდრმავდე, რადგან მჯერა, რომ ეს ბოლომდე და სრულად გენიოსებსაც უჭირთ. იმას კი ვიტყვი, რომ სამშობლოს აღქმა პირადად ჩემთვის სოფლიდან იწყება. მარტო ის რად ღირს, რომ 10-12 წლის ასაკიდან სოფლის ფოტოებიათობა ვიკისრე. რამდენი ჩემს მიერ გადაღებული სურათი მინახავს გადიდებული და შავ ჩარჩოში მოთავსებული, ჩვენი ნათესავების სოფლის სახლებში. როცა სოფლის შარავზაზე დაგათენდება ან დაგალამდება, მხოლოდ მაშინ გაიგებ მზისა და მთვარის ფასის. სოფელზე მეტად სად შეიგრძნობს ადამიანი მიწისა და დილის ნისლის სურნელს და, რა ვიცი, კიდევ რა სიმძიდრე და სითბოა ჩვენს დალიცილ სოფლებში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ხმამაღლა ვიტყვი, თუ რაიმე არსებობს ჩემში ქართული და ამაღლებული, ეს უპირველესად სოფლიდან მომყვება. რა ბედნიერებაა, ვისაც საკუთარი სოფელი აქვს და როგორ მეცოდებიან ისინი, ვინც სოფლის ნაღდი ფასი არ იცის...

\* \* \*

ეკონომიკურ კანონზომიერებებს და კანონებს ქვეყანა ხშირად იგნორირებას რომ უკეთებდა, ამაში პირველად საქართველოს კვების მრეწველობის ინსტიტუტში მუშაობის დროს დავრწმუნდი, როდესაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დამუშავების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რესპუბლიკაში განგვესაზღვრა ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი ქარხნის აშენების ოპტიმალური ადგილმდებარეობა, სიმძლავრე და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც უეჭველად უნდა გაგვეთვალისწინებინა, იყო ყველა სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა, საწარმოს კადრებით და-

კომპლექტება, ნედლეულით უზრუნველყოფა, პროდუქციის რეალიზაციის მდგომარეობა, პერსპექტივები და მრავალი სხვა. ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრის საქმეში გამოვიყენეთ მაშინ მოდაში შემოსული, უახლესი მათემატიკური მოდელები და არ ვიცი კიდევ რა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ნაშრომს, სოლიდური პრემიაც ავიღეთ, მაგრამ არ ვიცოდით, რომ თურმე ყველაფერი ქაღალდზე დარჩებოდა. ჩვენმა ნაშრომმა და მისმა ავტორებმა თვეობით ვიარეთ სხვადასხვა ინსტანციაში და ვამტკიცეთ ჩვენი გადაწყვეტილების ეფექტურობა, მაგრამ ჩინოვნიკებთან ვერაფერს გავხდით. მიზეზი მოვვიანებით გავიგეთ. ნუ იტყვით და თურმე მეღვინეობის რაიონების რაიკომის მდივნებს შორის მიღილდა ჭიდაობა, არა მე და არა შენო. ბრძოლა ყველაზე გავლენიანმა რაიკომის მდივნმა მოიგო, საქმემ და ქვეყანამ კი წააგო.

\* \* \*

60-70-იან წლებში რესპუბლიკაში ხილის წვენების წარმოების ნამდვილი ბუმი იყო. რესპუბლიკას ტემპები სჭირდებოდა სოცეჯიბრში გასამარჯვებლად. ჩვენ ხომ არაფერში ზღვარი არ ვიცით. ვინ არ აწარმოებდა მაშინ ამ ფალსიფიცირებულ პროდუქციას, ემაკმა იცის. მივიღეთ დავალება, რომ გვეანგარიშა რესპუბლიკის მასშტაბით მისი წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული მოცულობა. დავიწყეთ შესაბამისი გაანგარიშებები. რაღაც ოდენობაზე გავდით, რაც რეალურ შესაძლებლობებსა და მის ფაქტოურ მოცულობას შორის კოლოსალურ სხვაობას იძლეოდა. შემდეგ უკუღმა თვლაც დავიწყეთ. წარმოებული ხილის წვენებიდან საჭირო ნედლეულის რაოდენობაზე რომ გავედით, აღმოჩნდა, რომ მთელი რესპუბლიკა ხეხილის ბაღებით რომ ყოფილიყო დაფარული, ათ წელიწადში ვერ მივიღებდით ხილის იმ რაოდენობას, რასაც ერთ წელიწადში ვაწარმოებდით წვენების სახით. ამერიკა აღმოვაჩინეთო გვეგონა და თავი მოგვწონდა, მაგრამ ჯილდოს ნაცვლად კარგი საყვედურიც დავიმსახურეთ. რა თქვენი საქმეა ამ მო-

ნაცემების დამუშავება და ზედმეტი ჩხიკინიო. იმდენი კი უნდა გესმოდეთ, რომ ამჟამად ასეა საჭირო და სხვა. ორივე შემთხვევაში მთავარი, ალბათ, მაიც ის იყო, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებმა თვალი გავახილეთ და ბევრი ვინმესა და რამის მიმართ რწმენა დავპარგეთ.

\* \* \*

ერთხელ, თბილისის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის პირ-ველი მოადგილის რანგში, მუშა-თათბირს რომ ვატარებდი, პირად-მა ძღივანმა მომახსენა, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე გელოდებათ მისაღებშიო. კაბინეტში მყოფთ ბოდიში მოვუხადე, მისაღებ-ში გავედი და ისე, როგორც მას ეკადრებოდა, შემოვიპატიუე. თავი უხერხულად ვიგრძენი ყველასათვის სათაყინებელი პიროვნება ჩემთან მოსვლით რომ შეწუხდა. ცოტა დავიბენი კიდეც. საიდან დამეწყო მისი მობრძანების მიზეზის დადგენა, არ ვიცოდი. მდგო-მარეობიდან თავად გამომიყვნა. ერთი სათხოვარი მაქს, თუ შე-იძლებაო. რატომ ტელეფონით არ დამიკავშირდით, რატომ შეწუხ-დით-მეთქი, არ მოვეშვი. საბოლოოდ გაირკვა, რომ თურმე გერმა-ნული საკურავი მანქანის შეძენა გადაწყვიტა. თან დააყოლა, გავი-გე, რომ რიგში უნდა ჩავეწერო და დაახლოებით 10 წელიწადს დამჭირდება ლოდინი. მეტი არ არის თქვენი მტერი, აწი მე ათი წელიწადი არ ვიცოცხლო და, თუ რაიმე გამონაკლისი არსებობს, ძალიან მადლობელი დაგრჩებითო. რა უნდა მექნა. არც დავფიქრე-ბულვარ, ისე ვუთხარი, რომ ხვალ სახლში მოგარომევენ-მეთქი. გადამკოცნა, მომეფერა, ქუჩამდე ჩავაცილე და დაიმედებული სახ-ლში ჩემი მანქანით გავამგზავრე. დავალების შესრულება მეორე დღესვე მომახსენეს, თუმცა პატარა სიყალბის ჩადენა კი დამჭირ-და. ქალბატონი ვერიკოს სახელით განცხადება ჩექს სახელზე თავად დავწერე (აბა, მას ხომ არ ვაკადრებდი, განცხადება დამი-წერეთ-მეთქი), რეზოლუციაც გავაშანშალე და მივეცი ოფიციალუ-რი მსვლელობა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზემდგომმა ორგანოებმა ლამის გადამაყოლეს ამ “სიყალბეს”. საქმე პარტიის ცენტრალუ-

რი კომიტეტის სპეციალური კომისიის მსჯელობის საგანი გახადეს. ისეთი შავი ფერებით მოახსენეს კომისიის თავმჯდომარეს, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ცხონებულ სულიკო ხაბერშილს, რომ დაჭერა არ ამცდება-მეთქი, ვფიქრობი. ძალ-ღონე მოვიკრიბე და როცა ყველაფერი დეტალურად და გულახდილად განვმარტე, უნდა გენახათ მისი განრისხება. მაღლობა გადამიხადა, ხოლო ჩემი „ჩაშვების“ მსურველი რა დღეშიც ჩაყენა, ამის გადმოცემა ძალიან ძნელია. მტრის ჯინაზე „სამართალმა პური ჭამა“.

\* \* \*

ერთი პერიოდი ქართული სამზარეულოს დეკადების ჩატარება უცხო ქვეყნებში ძალიან მოდაში იყო. ერთ-ერთ ასეთ დეკადას ჩემი ხელმძღვანელობით, როგორც თბილისის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, ვატარებთ ყაზახეთის მაშინდელ დედაქალაქ ალმა-ათაში, სადაც ტაშკენტის გავლით გავემგზავრეთ, ჩვენს სპეციალურ ბარგანს ერთად. ტაშკენტში თვითმფრინავი გამოვიცავლეთ და გვიან ღამით ყაზახეთის დედაქალაქში ვიყავით. ბარგი, რომელშიც ყველაფარი გვქონდა, დაწყებული სულგუნით და „სუნელებით“ დამთავრებული, ჩვენი თვითმფრინავით ჩვენთან ერთად არ ჩამოვიდა. გვითხრეს, ალბათ, ტაშკენტის აეროპორტში მოხდა რაღაც გაუგებრობაო. ავტეხეთ ერთი ალიაქოთი, რეკვა ხან სად და ხან სად, მაგრამ ჩვენი ბარგის კვალს ვერ მივაგენით. მეორე დილით ტაშკენტში გავფრინდი. ასეთი ღონისძიება გვემლება და გვიშველეთ რამე-მეთქი. არ დამიტოვებია აეროპორტის სატვირთო გადაზიდვების არც ერთი სათავსი, ცხვირი რომ არ შემეყო. ბოლოს, ყველაზე დიდ სათავსს რომ მივუახლოვდით, აქ თქვენი ტვირთი არ იქნებაო, მიმტკიცებდა იქაური თანამშრომელი, მაგრამ მაინც გაჩვენებოთ. შევედი, მაგრამ რა ნახა ჩემმა თვალებმა. უზარმაზარ ტერიტორიაზე, დაახლოებით 10 სართულიანი სტელაჟები გაჭედილი იყო დანომრილი, უჟანგავი თუნუქის კუბოებით. როგორც ამიხსნეს აქ ყოფილა ავღანეთში დაღუპული ბიჭების კუბო-

ების დასახარისხებელი-დასაკომპლექტებელი საამქრო, საიდანაც “ტვირთს” აგზავნიდნენ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს “სტენდს” რომ მოვკარი თვალი, რაც დამემართებოდა, არ არის საკითხავი. რა მასშტაბის იყო ეს სამარცხვინო ომი, ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გავიგებდი, რომ არა ეს გაუთვალისწინებელი და შემზარავი შემთხვევა.

1998 წელი

\* \* \*

,2006 წელს, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით ერთი პატარა წიგნაკი „აფხაზეთო, სატკივარო ჩვენო!“ რომ გამოვეცი ქართულ და რუსულ ენებზე, ერთი აურზაური მაშინ დამატებეს თავს ე.წ. პოლიტიკოსებმა. ზოგი იზიარებდა და მხარს უჭერდა ჩემს პოზიციებს, ზოგიც კიდევ, რომ იტყვიან, „ჭკუს მარიგებდა“. რამდენადაც რადიკალურად არ უნდა მოგეჩვენოთ, მჯეროდა და მჯერა, რომ ლოზუნგები: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, „აფხაზეთის უცილობელი დაბრუნება“ და ა.შ. უტობიად და ხალხის თვალში ნაცრის შეყრად მეჩვენება. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე! ხაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ ამ ლოზუნგების სანაცვლოდ, ქვეყანამ ანუ ჩვენ, რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ დავიბრუნოთ არა აფხაზეთი, არამედ აფხაზები. ჩვენს ხალხებს შორის აღდგეს ის ურთიერთობა, რაც ოდითგან იყო; გაუქმდეს ე.წ. სავიზო რეჟიმი საქართველოს და აფხაზეთს შორის; აფხაზებს სურვილის შემთხვევაში მივცეთ ჩვენი ქვეყნის პასპორტი; აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, ოჯახებს მივცეთ უფლება დაუბრუნდნენ თავიანთ მიწა-წყალს, კარ-მიდამოს, მამა-პაპისა და თავიანთი ოჯახის წევრების საფლავებს; რეალურად აღდგეს ის ტრადიციული ურთიერთდამოკიდებულება, როცა აფხაზები ისტორიულად მიესალმებოდნენ ქართულ-აფხაზური ოჯახების შექმნას (საბედნიეროდ, ეს ახლაც ასეა!) და ა.შ. ამ პრობლემების მოგვარების კავალობაზე, თანდათან გადაწყდება ორივე მხარისათვის მისაღები

სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები, გარდა ერთისა – საქართველო ვერასოდეს ვერ დაუშვებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. თუ რატომ, საჯაროდ ამის არც თქმა შეიძლება და არც დაწერა. როგორც ჩოხოსანს, თუ ოდესმე მომეცა საშუალება, ამას პირადად ვეტყვი და ავუხსნი მხოლოდ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს წევრებს.

ერთი სიტყვით, ასე ვფიქრობ და ვისაც პაექრობის სურვილი გაუჩნდება ამ თემასთან დაკავშირებით, სიამოვნებით შევხვდები ნებისმიერ ფორმატში. იქნებ სხვა უკეთესი გამოსავალიც გამოჩნდეს!“.

2008 წელი

\* \* \*

ჩემი ზასიათიდან და ცხოვრების წესის პრინციპებიდან გამომდინარე, ვერ შევძელი იმდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკის ქქბა-დიდება. რაც ჰქონდა მას საქებარ-სადიდებელი, ახლა ხომ მაინც გამოჩნდა. ამას რომ, თავი დაგანებოთ, არ ვფლობდი ისეთ ხელოვნებას, რაც ძალიან ლაკონიურად ჩამოაყალიბა ანატოლი სობჩავმა თავის მოგონებებში “თბილის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა” (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წლის 9 აგვისტო).

„იმისათვის, რომ გაგებლო ზედა ეშელონებში, გაწაფული უნდა ყოფილიყავი ინტრიგების, თვალებში ციცინის, ზემდგომთა სურვილის მიხვედრის, ბოროტმოქმედებათა ვერშემჩნევის ანალიზის ხელოვნებაში, ანდა თავადაც ჩაჰყოლოდი ამ მორევს. სწორედ ეს იყო ყოველი მათგანის მთავარი მიზანი, ვინც ჯიქურ მიიწევდა ხელისუფლებისაკენ. ამ ნანატრ ხელისუფლებას, ძირითადად იღებდნენ ისინი, ვინც პირველმა თქვა, მოახსენა, დაასაჩუქრა და დააბზღდა“. როგორი ნათქვამია?! ერთი სიტყვით, ვერ შევძელი იმის მტკიცება და კუთვნა, რაც თავად არ მწამდა.

\* \* \*

პრივატიზაციაში ჩემი მონაწილეობის „პროტესტის“ მიზეზი გახლავთ ის, რომ ქვეყანაში ეს პროცესი ჩანასახიდანვე არასწორად წარიმართა. ყოველ შემთხვევაში, ასე მჯეროდა და იმავე აზრის გახლავართ დღესაც. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობისა და, ბუნებრივია, გარკვეული გავლენების მიუხედავად, ჩემი გაგებით ამ არასწორ თამაშში, არანაირი მონაწილეობა არ მიმღია. უფრო მეტიც, როცა ვხედავდი, რომ დიდი და პატარა, ჩინიანნი და უჩინონი მოსწრებაზე გადავიდნენ, მე ამ დროს საპროტესტო სტატიებსა და მოხსენებით ბარათებს ვაკევყნებდი.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, ეს პრინციპში ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციაა. ე.ი. არ არის აუცილებელი იყო ეკონომისტი, რომ ამ აზრამდე მიხვიდე. ხოლო, როგორც ეკონომისტი, გეტყვით, აბსოლუტური ეკონომიკური ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის უმწვავესი ეკონომიკური კრიზისის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა წამყვანი დარგის სტაგნაციის, ხელოვნურად შენარჩუნებული უულის კურსისა და, რაც მთავარია, დაკარგული ტერიტორიების პირობებში, მასობრივი პრივატიზაცია ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ამ დროს კაპიტალის ფასი კატასტროფულად ცეცხალი და სახელმწიფო ქონება ჩალის ფასად უვარდებათ ხელში მავანსა და მავანს. მე მგონი, საკმარისი არგუმენტებია ჩემი და “პრივატიზაციის” ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მართალია, გაღოვილი თითოვით დავრჩი, მაგრამ მაინც ასე მირჩევნია, რადგან ჩემი თავისა და რწმენის წინაშე მართალი ვარ. მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში სახელმწიფოს მოუწევს აღიაროს, რომ, მაგალითად, თბილისში რუსთაველისა და ჭავჭავაძის პროსპექტებზე, თავის დროზე, თითო ობიექტი საშუალოდ ერთი ინდაურის ფასად გაიყიდა.

1999 წელი

\* \* \*

მოკლედ მოგიყვებით საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ჩემი დამოკიდებულების ერთი ეპიზოდის შესახებ. საქართველოში ამ ორგანიზაციის ფორმირება და მათი საქმიანობა, რომ იტყვიან, ჩემს თვალწინ მიღიოდა (ამ პერიოდში მთავრობაში ვმუშაობდი). თითქმის ყველა მთავარი შეხვედრისა და მუშა-თათბირის მონაწილე ვიყავი. დიდი დრო არ დამჭირვებდა, რომ აზრი ჩამომეცალი-ბებინა მათი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ამის თაობაზე, პირველმა დავაფიქსირე პოზიცია ჯერ სურსათის სამთავრობო კომისიის და შემდეგ მთავრობის სხდომაზე. პრინციპულად დავუყენე საკითხი მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობას, რომ დაინ-ტერესებული მხარეები, მეწარმეების ჩათვლით, სასწრაფოდ დავმ-სხდარიყავით საერთაშრისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელო-ბასთან ერთად და გვემსჯელა პრინციპული საკითხების თაობაზე. ამ მოთხოვნამ ის შედეგი გამოიღო, რომ მე და ბატონი შადმან ვალავი, ერთ-ერთი ვიცე-პრემიერის თანდასწრებით, შეგვახვედრეს პირისპირ.

ის მხარე, ყველა საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდ-გებოდა და ქვეყნის წეს-ჩვეულებების, ქართველი კაცის ბუნების და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავისებურებების შესახებ არაფრის მოსმენა არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, იმასაც ვერ იგებდა, რომ თუ გლეხისათვის საზამთრო ან მზესუმზირა უფრო მეტი მოგების მომტანი იქნებოდა, რატომ არ უნდა აეჩეხა ვენახი და რატომ არ უნდა მოეყვნა მის ნაცვლად უფრო მეტი მოგების მომტანი სხვა კულტურა. როგორ გინდა გააგებინო უცხო კაცს, თუ რას ნიშ-ნავს საქართველოსათვის, თუნდაც ნებისმიერი გლეხისათვის “შვი-ლივით ნაზარდი” ვაზის აჩეხვა. ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის პრობლემებზე რომ დავიწყეთ საუბარი, გაკვირვებული მიყურებდა და მიმტკიცებდა, რომ ქვეყანამ არ უნდა აწარმოოს საქონელი, თუ ასეთივე საქონელი სხვა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდებაო. ჩვენი სა-წარმოების უმოქმედობას და გაჩანაგებას ეკონომიკურ კანონზომი-

ერებად მიიჩნევდა. ერთი სიტყვით, სხვადასხვა პოლუსზე მდგარ-მა სპეციალისტებმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ. დააბულობის კულ-მინაციამ თბილისის მეტროპოლიტენის ფუნქციონირების მიზანშე-წონილობის პრობლემაზე მსჯელობისას მიაღწია. მეტრო ვახსენე თუ არა, ფერი ეცვალა და გულმოსულმა გამომიცხადა: „რა გახ-და, ბოლოს და ბოლოს, ეს თბილისის მეტროპოლიტენი. რამდე-ნი თბილისზე დიდი ქალაქი არსებობს მსოფლიოში და მეტრო არა აქვთ და ქვეყანა არ იქცევათ.“ ბოლოს რომ ბრძანა, რადგან თბი-ლისის მეტროპოლიტენი არარენტაბელური ორგანიზაციაა და მი-სი შემდგომი ფუნქციონირება გაუმართლებელიაო, დავრწმუნდი, რომ ეს კაცი (შეიძლება ეს ორგანიზაციაც) შემოგზავნილია და მასთან დავას აზრი არ ჰქონდა. უაზრო კამათი დროზე აღრე შევ-წყვიტეთ.

ჩვენი საუბრის შედეგებიდან გამომდინარე, ოფიციალური მოხ-სენებითი ბარათით მივმართე მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანე-ლობას და რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას. გაგაცნობთ ზოგიერთ თეზისს ამ დოკუმენტიდან:

— არ არსებობს არც ობიექტური, არც სუბიექტური საფუძვე-ლი ვიფიქროთ, რომ ჩვენი ფსევდოსაბაზრო ეკონომიკა თავისთავ-ად გარდაიქმნება ცივილიზებულ ბაზრად. ჩვენი აზრით, საჭიროა ეკონომიკური რეფორმების შედეგების ღრმა ანალიზით, სერიოზუ-ლად გავიაზროთ განვლილი და შევცადოთ განვსაზღვროთ შემ-დგომ გარდაქმნათა საპროგრამო კონცეფცია.

— რესპუბლიკაში საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი დაცე-მის დროს, რაც ძირითადად განაპირობა არასწორმა, მოუფიქრე-ბელმა და არაეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ, კვების პრო-დუქტების წარმოება არახელსაყრელი გახადა. პარადოქსია, რომ რესპუბლიკა სასურსათო დახმარებას სთხოვს საზღვარგარეთს და შშვიდად აღიქვამს სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილ უმწვავეს კრიზისს. “რეფორმატორებმა” ნაძვილად სასწაულის მოხდენა შესძლეს: წარმოების არნახული ნგრევის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების დაცემის ფონზე,

საქართველო მომხმარებლების საზოგადოებად აქციეს. ამასთან, ჩვენი ეკონომიკის ყველაზე უფრო მახიჯ დისპროპორციას წარმოადგენს იმ დარგების გაპარტახების ტენდენცია, რომელთა პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე არსებითად მთელ ქვეყნას უნდა ეცხოვოს.

\* \* \*

მინისტრთა კაბინეტის თუ მთავრობის სხდომებზე, ამა თუ იმ მწვავე საკითხზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, მით უმეტეს, თუ ის ხელმძღვანელის პოზიციას ეწინააღმდეგება, გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, როგორც მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, გარკვეული ტაქტისა და ეთიკის დაცვა მევალებოდა. მეორეც, საკითხს დეტალურად უნდა იცნობდე, რათა შეძლო შენი შეხედულების ჩამოყალიბება და, ბოლოს, იმის უნარი უნდა გქონდეს, რომ დარბაზის და, რაც ყველაზე მთავარია, სხდომის წამყვანის ყურადღება დამსახურო გამოსვლის დაწყებისთანავე.

თუ ატყობ, რომ ვის საყურადღებოდაც ლაპარაკობ, არ გისმენს, მაშინ საუბარს აზრი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში ხმის აწევას სჯობს, გაჩერდე და დაელოდო მის ყურადღებას. სხდომის წამყვანი რეგლამენტის დაცვას თუ შეგახსენებს, ჩათვალე, რომ მის-თვის შენი საუბარი საინტერესო აღარ არის და რაც დროულად დაამთავრებ, აჯობებს. რა დონეზე დაწერილი სიტყვაც არ უნდა გქონდეს, მისი წაკითხული სახით გაღმოცემა ასჯერ უფრო ცუდი მოსასმენია, ვიდრე ზეპირი შსჯელობა და აუცილებლად წინასწარ მომზადებული თეზისების დახმარებით. ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმული დიდი ხელოვნებაა და, რა თქმა უნდა, ჩემი აღმოჩენილი არ არის.

1998 წელი

\* \* \*

ჩემი პროფესია, მოქალქეობრივი ვალი, სამსახურებრივი მდგო-  
მარეობა და, აღბათ, ცოტაოდენი გამოცდილებაც არ მაძლევდა  
უფლებას შორიდან მეყურებინა მიმდინარე პროცესებისათვის.  
ხშირად პოზიციების დაფიქსირებისას პრესაში, მთავრობის სხდო-  
მებსა და სამსახურებრივ ოფიციალურ დოკუმენტებში, სიტუაცი-  
ებიც იძაბებოდა და ამიტომ ზოგიერთი ხელმძღვანელი, ფსევდო-  
რეფორმატორი და დაქირავებული ჟურნალისტი “წეოკომუნისტო-  
ბას”, “საბაზრო ეკონომიკის მტრობას” და რა ვიცი, კიდევ რას  
არ მწამებდა.

მიუხედავად ამისა, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ სვლას ან გა-  
ჩუმების პოლიტიკის თამაშს ვერ ვახერხებდი, მჯეროდა და მჯე-  
რა, რომ მაინც ისა სჯობს, როცა სათქმელს დროულად იტყვი.  
უფრო მეტიც, არც ერთი ასეთი გამოხტომა უპასუხოდ არ დამი-  
ტოვებდა. თანაც ვცდილობდი და მომავალშიც, აღბათ, ისე მოვიქ-  
ცევი, რომ ყველა ასეთ ქცევას ოპერატორულად, ე.ი. მაშინვე და,  
რაც შეიძლება, სხარტად, ყველასათვის გასაგებად, ობიექტერად  
და ლაკონიურად ვუპასუხო.

\* \* \*

ვისაც რაიმე შეხება ჰქონია სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანო-  
ბასთან, მან კარგად იცის, რა როულ შრომასთან არის დაკავშირე-  
ბული ასპირანტობა, მაძიებლობა, საკანდიდატო მინიმუმით გან-  
სახლვრული საგნების ჩაბარება, ავტორეფერატის მომზადება, დი-  
სერტაციის დაცვა, რომლის დროს გარკვეული ხნით გვერდზე უნ-  
და გადადო ბევრი პირადული, და, მით უმეტეს, ურთულეს სახელ-  
მწიფოებრივ პრობლემებზე ზრუნვა, რასაც დაკავებული თანამდე-  
ბობა გავალდებულებს. ასეთ პირობებში საზოგადოების დიდი ნაწი-  
ლისთვის ნამდვილად გაუგებარია როგორ ახერხებენ უმაღლესი  
რანგის ჩინოვნიკები (მინისტრი, გებერნატორი, პარლამენტარი და  
სხვა) თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში, სადისერტაციო ნაშრო-  
მების შესრულებას და დაცვას. ვისაც დასმულ შეკითხვაზე პასუ-

ხის გაცემა ევალება, სასურველია დროულად დაინტერესდეს აღნიშნული პრობლემით, რათა ქვეყნა ვიზსნათ ამ არაჯანსაღი ვირუსისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგაოდებას ბევრი მძიმე შეკითხვა გაუჩნდება, რაზედაც პასუხის გაუცემლობა გარევაულ უხერხულობას შექმნის.

**2000 წელი**

\* \* \*

„აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებში (რომ იტყვიან: „ყველა მთავრობა გამოვიცვალე“) ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ მოღვაწეობას, თამამი აზრებისა და მკვეთრი გამონათქვამების გამო, ბევრი სირთულე და კურიოზი ახლდა. განსაკუთრებული პრობლემები ეგრეთ წილებული ვაი-რეფორმატორებისაგან და მათ მიერ დაქირავებული ჟურნალისტებისაგან მექმნებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა, გაზეთის მეშვეობით საბაზრო ეკონომიკის მტრადაც გამომაცხადა. როგორც წესი, ჩემმა რეაქციამაც არ დააყოვნა და ვაი-ოპონენტს ამავე გაზეთის მეშვეობით, შემდეგივე ნომერში ვახსლე სათანადო პასუხი, როგორც საცხოვის „პასუხის მაგიერი“ დავარქვი. გთავაზობთ ამ წერილის შემცირებულ ვერსიას.

„თქვენი სტატიის გამოქვეყნების მიზანი ვერ ავხსენი. მით უმეტეს, რომ ჩვენი თითქმის ყოველდღიური პირადი თუ ოფიციალური შეხვედრების დროს ერთხელაც არ წამოგცდენიათ რაიმე განსხვავებული მოსაზრება ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და არა-ერთხელ თქვენი თანდასწრებით თითქმის ყველა ღონის შეხვედრებზე გამოთქმული პოზიციების გამო. ერთადერთი გამართლება თქვენს ამ ქმედებას შეიძლება ის მოეძებნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ თანამედროვე ეკონომიკის საკითხებში ცოდნას იმაღლებდით და ემზადებოდით ჩემთან საპაეჭროდ. თუ ასეა, კეთილი და პატიოსანი. ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ბატონო... თქვენთან გავმართო კამათი იმ საკითხებზე, რომლებშიც თქვენ საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტად წარმოგიდენიათ თავი. რატომ? იმიტომ, რომ დათა თუთაშხიასი არ იყოს, საქმაო პროფესიული

უპირატესობა მაქვს და გაუმართლებლად მიმაჩნია ამ საკითხებზე  
თქვენთან საგაზეთო პაექრობა. თუ მართლა გადაწყვეტი საბაზო  
ეკონომიკის საკითხებზე ჩემთან კამათს, დავსხდეთ პირისპირ  
თქვენ და თქვენი თანამოაზრენი და ცივილური წესით ვუმტკიცოთ  
ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები“.

2005 წელი

\* \* \*

ყველა მიტინგისთვის და ქუჩაში უაზროდ ხეტიალისთვის თით-  
ქმის არასოდეს არ მეცალა. გამონაკლისი იყო 1978 წლის 14 აპ-  
რილის მოვლენები. ეს პერიოდი ჩემი ახალგაზრდობის წლებს და-  
ემთხვა და მაშინ ჩემი სტუდენტების გვერდზე რომ არ ვმდგარი-  
ყავი მორალურად და მოქალაქეობრივად, გაუმართლებელი იქნებო-  
და.

ჩემი აზრით, ეროვნული მოძრაობა ის არის, როცა შენ საქმეს,  
შენ უბანზე, კეთილსინდისიერად და უხმაუროდ ემსახურები. რაც  
შეეხება ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, ბევრ მათგანთან ყო-  
ველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა და დღესაც ასევე  
ვაგრძელება.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მხარს დავუჭრ მას, ვინც  
ფიც დადგებს და პასუხს გასცემს ცხონებული გურამ ფანჯაიკიძის  
მიერ დასმულ შეკითხვებს: ”ვინ არიან ის პიროვნებები, რომელ-  
თა ხელში თავს იყრის მთელი ქართული ეროვნული სიმდიდრე? იქნებ დაგვისახელოთ ის პიროვნებები, რომლებიც გარკვეულ დარ-  
გებში იბრძვიან მონოპოლიისათვის? ვის ეპუთვნის ის სასახლეე-  
ბი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისისა და თბი-  
ლისის გარეუბნებში რომ შენდება აშკარად, მოურიდებლად და  
უტიფრად? ვინ არიან ის ადამიანები, ვინც არად აგდებენ ხალხის  
საყოველთაო გაჭირვებას?”

გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 31.10.1997

# რეგულირება თუ შერეგულირება?

\* \* \*

უპირველეს გადასაწყვეტ პრობლემად მიმაჩნია რესპუბილიკის სახალხო მეურნეობის ოპტიმალური სრუქტურის ხამოფალიბება. კერძოდ, გეზი უნდა ავიღოთ ისეთი დარგების განვითარებაზე, რომლებიც რაც შეიძლება მალე გაგვიყვანს მსოფლიო ბაზარზე. როდესაც ლაპარაკია სახალხო მეურნეობის სტრუქტურაზე, შედევრობაში გვაქვს ისიც, რომ ჩვენთან პრიორიტეტი უნდა მიეცეს ეკოლოგიურად სუფთა ენერგოტევადი, ელექტროტექნიკური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. ალბათ, დამტანხმებით, რომ მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელი დარგების განვითარება ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ხვედრია. შეიძლება შემომედაონ, მაგრამ მზად ვარ, ნებისმიერი ფორმატით გავმართო დისკუსია და პოლემიკა იმ ეწ. „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე”, ქვეყნის ეკონომიკის მტრებთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ყველაფერი უნდა გაიყიდოს“ როგორც ნედლეული, მათ შორის: ნებისმიერი სასარგებლო წილისეული, ხის მორები, ელექტროენერგია, ლითონის ჯართი, სასმელი მტკნარი წყალი ტრანსკონტინენტალური წყალგაყვანილობის მიღებით და სხვა. რაც შეეხება მრეწველობის მასალატევად და შრომატევად დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან საკუთარი ნედლეულითა და მარაგნაწილებით, მათი წარმოების დონე თანდათან უნდა შეიზღუდოს და ზოგიერთ მათგანზე უარიც ვთქვათ. მრეწველობის არაპერსპექ-

ტიულ დარგებში დასაქმებული მუშახელი, უამრავი ეკონომიკური ბერკეტის გამოყენებით, უნდა დაუბრუნდეს ჩვენს კურთხულ მიწას. აი, პრობლემა, რომელზეც, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ რიგში უნდა იმუშაოს რესპუბლიკის მთავრობაში.

\* \* \*

— საჭიროა გატარდეს გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფებ მოქალაქეთა ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორუფლებიანობას ცალკეული კატეგორიის მოსახლეობისათვის სხვადასხვა შეღავათებისა და პრივილეგიების გაუქმების გზით. ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, მთავრობა უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც ცხოვრობს მისი ხალხი.

\* \* \*

— ახალი, რადიკალური სისტემის დამკვიდრება უთუოდ მტკივნეული პროცესია და, ცხადია, პირველ წლებში ნამდვილად გაგვიძირდება, უფრო როტული ცხოვრება მოგველის. მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს! აქ ხელოვნური კონცეფციები, ღოგმები, ობიექტური კანონების წინააღმდეგ სვლა დამღუტველია. ფაქტია, რომ ჯერჯერობით კაცობრიობას საბაზრო ურთიერთობაზე უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა არ შეუქმნია. ასეა თუ ისე, ღრმად მჯერა, რომ საბაზრო ეკონომიკა კატასტროფისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ოღონდ, ვიმეორებ, მანამადე ტანჯვის გზებს ვერ ავცდებით...

1990 წელი

\* \* \*

— სახელმწიფომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უნდა მართოს მთავარი პროცესები. მაგალითად, პურის მაღაზიამ ან დიეტურმა სასადილომ ობიექტის ხელმძღვანელის, ან მისი მფლობე-

ლის სურვილის მიხედვით არ უნდა შეიცვალოს ძირითადი პრო-ფილი მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ მეტი მოგება მიიღოს, მომ-ხმარებელი კი დაზარალდეს.

\* \* \*

— შეიძლება შემომედაონ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებ-ში ყოველგვარი შეზღუდვა და აკრძალვა უნდა მოისპოს, მაგრამ, ვიმეორებ, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“ ამ სიტყვის პირდაპირი გავებით.

\* \* \*

— რესპუბლიკის სასაქონლო რესურსებით უზრუნველყოფისა და მისი საკუთარი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზ-ნით, სათანადო ბალანსების დამუშავების საფუძველზე. რესპუბლი-კურ დონეზე კოორდინაცია და კონტროლი უნდა გაეწიოს ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა უწყებას, ორგანიზაციას, სა-წარმოს თუ დაწესებულებას სტრატეგიული მნიშვნელობის საქონ-ლის გატანა-შემოტანის საქმეში. მრეწველობის, სოფლის მეურნე-ობისა და სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელი ყველა უწყებისა თუ საწარმოს მუშაობის შეფასების ძირითად კრიტერი-უმად უნდა იქცეს შიდა ბაზარზე სასაქონლო პროდუქციის სიუხ-ვის შექმნის მიმართულებით მიღწეული შედეგები.

1991 წელი

\* \* \*

— როცა „გარდაქმნა“ მოდაში იყო, მაშინ ვამბობდით, რომ „გარდაქმნა იწყება მართვის სტრუქტურის სრულყოფით“. ახლაც იგივე აზრის ვარ, მაგრამ, სხვა სიტყვებით, ეს ასე შეიძლება გა-მოითქვას: რეფორმა მაშინ მიაღწევს სასურველ შედეგს, როცა მი-

სი განხორციელებისათვის ჩამოყალიბდება მოქნილი მართვის სტრუქტურა და მას სათავეში ჩაუდგებიან რეფორმისტული ბუნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

\* \* \*

— თუ გვინდა, თავი დავადწიოთ რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილ კატასტროფულ ძღვომარეობას, აუცილებელია გარდამავალ პერიოდში, სახელმწიფო თავის ხელში აიღოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული რესურსების მართვა. როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა შეხვდეს ამ მოსაზრებას, მაინც ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

\* \* \*

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“, ამ სიტყვის ნებისმიერი გაგებით. მოსახლეობის სოციალური დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, ხოლო სახელმწიფოსი — თითოეულ ჩვენთაგანას.

1992 წელი

\* \* \*

მიზეზები, რომლებმაც დღევანდელ სტაგნაციამდე მიგვიყვანა ორი ჯგუფისაა. პირველი, ლოზუნგები და დროის ფასის უგულებელყოფაა, მეორე — არაკომპეტენტურობა და საქმისადმი ისეთი დამოკიდებულება, ანდაზა რომ არის “სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

\* \* \*

— სახელმწიფოსათვის სამარცხვინო დონეზე დგას ეგრეთ წოდებული ფულის გადახურდავების მექანიზმი. ალბათ, ესეც ხელს

აძლევს ვინმეს. ამ უმნიშვნელოვანესი საქმის თვითდინებაზე მიშვება ყოვლად დაუშვებელია. იმედი ვიქონიოთ, რომ კომპეტენტური ადამიანები დაინტერესდებიან “ფულით ფულის შოვნისა” და საბანკო დაწესებულებების ხელშეწყობით ჩატარებული უსაქონლო ოპერაციების მექანიზმით. მაშინ ბევრ მაქინაციას აეხდება ფარდა.

\* \* \*

აქვს კი აზრი ისეთ დამოუკიდებულებას, როცა “დედაენით”, კალმისტრით, ფანქრით ვერ უზრუნველვყოფთ მოსწავლეებს? როცა თანამოქალაქენი ნაგავსაყრელზე ეძებენ თავის გამოკვების საშუალებას? როცა ქრისტიანი კაცი ზეწარში გახვეულს ასაფლავებს მიცვალებულს?

1993 წელი

\* \* \*

ვერავითარი საბაზრო ეკონომიკა ვერ იმუშავებს და არავითარი რეფორმა არ განხორციელდება, როცა სახელმწიფოს მართვის სტრუქტურები თავისი პერსონალური შემადგენლობით ძველებური დარჩება და ქვედა რგოლი გადავა ეწ. საბაზრო ეკონომიკაზე. მხედველობაში მაქვს, რომ სამინისტრო სამინისტროდ რჩება თითქმის უცვლელი ფუნქციებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამინისტროები ზშირ შემთხვევებში ფუნქციონირებენ უფუნქციოლ.

\* \* \*

ვაჭრობის ობიექტებისათვის ფიქსირებული გადასახადის დაწესება ცივილიზებულ ქვეყნებში ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია, მაგრამ ჩვენს პირობებში როცა პრაქტიკულად მოშლილია და შეუძლებელიც აღრიცხვის სათანადო დონეზე მო-

წესრიგება, როგორც დროებითი ლონისძიება, შეიძლება სახელმწიფო წავიდეს ამ წინადაღებაზე. საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში სხვა დადებით მხარეებთან ერთად ობიექტები განთავისუფლდებიან შემოწმებელი და მაკონტროლებელი ორგანიზაციების შიშის ფაქტორისაგან, რაც, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, პირდაპირპროპრციულ გავლენას ახდენს მომსახურების კულტურასა და საქონლის ფასების ფორმირებაზე.

\* \* \*

ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამითვალოთ, მაგრამ სახელმწიფოს, ნებისმიერი რეფორმის ჩატარების ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლონისძიებების გატარების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მოსახლეობა ცოცხალი ეყოლება.

\* \* \*

ბოლო დროს, ყველა დონეზე ძალზე გახშირდა საუბარი და მსჯელობა რეფორმებსა და საბაზრო ეკონომიკაზე. სამწუხაროდ, საუბარი საუბრად რჩება და საქმე წინ არ მიიწევს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით საქმე უკან უფრო მიდის, ვიდრე წინ. მიზეზი ის გახლავთ, რომ რესპუბლიკას სამწუხაროდ დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის მართვის ეტაპობრივი კონკრეტული პროგრამა.

1994 წელი

\* \* \*

ქვეყნის ეკონომიკის მართვის თვითდინებაზე მიშვების შედეგად სავაჭრო ქსელში ხშირად იყიდება ფალსიფიცირებული არყის ნაწარმი, შამპანური, უალკოჰოლო სასმელები, საკონსერვო ნაწარმი; კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა საკონდიტრო ნაწარმის დამზადება-რეალიზაციაში. მათ დამამზადებელ-რეალიზატო-

რებს არა აქვთ გავლილი სათანადო სანიტარულ-სამედიცინო შემოწმება. შედეგად, სავაჭრო ქსელი გაივსო უხარისხო და დაბინძურებული პროდუქციით, რაც სერიოზულ საშიშროებას უქმნის მომხმარებლის ჯანმრთელობას.

\* \* \*

რომანტიკოს რეფორმატორთა ძალის ხმევით დანერგილი პროპაგანდის საპირისპიროდ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ “საქონლის სიუხვე” მომხმარებელთა დიდი უმრავლესობისათვის მიუწვდომელ ფასებში, არაფრით სჯობია, რბილად რომ ვთქვათ, საქონლის დეფიციტს, ხელმისაწვდომი ფასების პირობებში.

\* \* \*

ბიზნესის ნორმალური განვითარების ძირითადი და უცვლელი წესია სახელმწიფოს ვალდებულება, შეასრულოს მის მიერ მიღებული კანონები. როდესაც კანონქვემდებარე აქტი ფაქტობრივად ერთთავად აუქმებს კანონის დებულებებს, იქმნება თვითნებობისა და უკანონობის სიტუაცია. ეს კომერსანტებს უბიძგებს თავი აარიდონ გადასახადებს, ხოლო სახელმწიფო მოხელეებს – დაადგნენ კორუფციის გზას.

\* \* \*

სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის მხარდაჭერა არაეფექტურია და კონკრეტული ქმედებებით არ მაგრდება, რესპუბლიკაში მცირე ბიზნესი სულ უფრო და უფრო მახინჯ სახეს იღებს. სერიოზულ კორექტირებას მოითხოვს მისი დაბეგვრის მოქმედი სისტემა, რომელიც სრულიადაც არ უწყობს ხელს საბაზო სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და მცირე ბიზნესის განვითარებას.

\* \* \*

ვიდრე ქვეყანა მეწაღისა და პურის მცხობელის ფუნქციებს არ გამიჯნავს და მათი საქმიანობის პერსონიფიცირებას არ მოახდენს, მანამ, ჩვენ არ გვეშველება. უფრო ხმამაღლა როგორ ვთქვა, არ ვიცი...

2001 წელი

\* \* \*

ვერ დავეთანხმები ზოგიერთ თეორეტიკოსს, რომ ნებისმიერი ბარიერი, რომელსაც სახელმწიფო შიდა ბაზრის დასაცავად აღმართავს, წარმოებული პროდუქტების ხარისხის ამაღლებასა და ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციაზე საერთაშორისო კონკურენციის სასიკეთი ზეგავლენას ზღვდავს. ზოგადად და თეორიულად, რა თქმა უნდა, ეს ასეც არის, მაგრამ კონკრეტულად, საქართველოს სინამდვილეში, არაორდინალური, გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს შიდა ბაზრის დაცვის, ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის რეგულირების მიზნით, ეს, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს, რადგან ანალოგიურ თეორიებზე აღმოცენებული და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩვენთვის მიუღებელი რეცეპტებით განხორციელებული „უანგარო დახმარებების“ შედეგად რაც გვჭირს, ყველას კარგად მოეხსენება.

\* \* \*

მეწარმე ყველა პრობლემას თავად მიხედავს, ხალხსაც დაასაქმებს და ქვეყნის ბიუჯეტსაც ასარგებლებს. სახელმწიფოსგან მას მხოლოდ დაცვა (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით) სჭირდება. დაცვა სახელმწიფო და სხვა რეკეტისგან, დაცვა ფალსიფიკაციისგან, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, დაცვა უცხოეთიდან დემპინგური ფასებით შემოტანილი პროდუქციისაგან

და სხვა. ეკონომისტების ენაზე თუ ვიტყვით, აუცილებელია ელემენტარული საინვესტიციო გარემოს შექმნა. სახელმწიფო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას თუ ვერ შეძლებს, მაშინ ის არ იქნება სახელმწიფო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მის წარმომადგენლებს ნურც ამბიციური პრეტენზიები ექნებათ, რომ ჩვენ „ევროპელები“ ვართ.

\* \* \*

საქართველოში, რის ვაი-ვაგლახით, მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოებულ მტკნარ, მინერალურ, ხილეულ წლებს და უაღკოჰოლო სასმელებს; რმის, მაკარონისა და თამბაქოს ნაწარმს; ფრინველის ხორცასა და კვერცხს; საკონსერვო პროდუქციას; ლუდს, ღვინოს და სხვა აღკოჰოლურ სასმელებს თუნდაც საქართველოს ბაზარზეც რომ შეექმნებათ თავიანთი საქონლის რეალიზაციის პრობლემები, ამ საკითხზე სახელმწიფომ არ უნდა იფიქროს?

ჩვენი ღრმა რწმენით, სახელმწიფომ მარტო კი არ უნდა იფიქროს, არამედ სახელმწიფოებრიობის გარკვეული დონის მიღწევამდე თითოეული ამ დარგისა და საწარმოს ჭრილში მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც კი უნდა გააფირმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ვერ გადარჩება! ვიმეორებ, ამ ეტაპზე ეს ასეა საჭირო.

2004 წელი

\* \* \*

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლი, როგორც მარკეტირებელი რგოლისა, თანდათან უნდა გაიზარდოს მანამ, ვიდრე იგი რეალურად არ უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმისა და შემოსავლის დონის გათანაბრებას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლე-

ბა სახელმწიფოს იფიქროს დერეგულირების პროცესების დონის თანდათანობით ამაღლებაზე.

\* \* \*

საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნულ კონცეფციაზე დაფუძნებული ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული კონომიკის განვითარების პროგრამა, რომლის ბალავარს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ბუნებრივი, საწარმოო და სხვა თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინება. რაც, მთავარია, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს რომელიმე ქვეყნის ანალოგიურ პროგრამაზე მიმსგავებული ღოკუმენტი, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში არცთუ იშვიათად ხდებოდა და ხდება. პირიქით, ის უნდა იყოს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ანალოგიური პროგრამების ჯემლი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიზრდება სახელმწიფოს, როგორც მმართველობითი რგოლის ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, რათა თავის თავზე რეალურად აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის მოსახლეობის სიციალური და ფიზიკური დაცვის ყველა მიმართულებით. მხოლოდ ასეთ პირობებში აქვს სახელმწიფოს უფლება თავის თითოეულ მოქალაქეს მოსთხოვოს სახელმწიფო ინტერესების გათავისება და მათი უცილობელი დაცვა.

სწორედ პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულება უნდა გახდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციაზე დაფუძნებული ქვეყნის გადარჩენის პროგრამის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი.

2004 წელი

\* \* \*

ამ ეტაპზე, ქვეყნის კოლაფსიდან გამოსაყვანად, თუნდაც ტრადიციულ და პრიორიტეტულ დარგებში, აუცილებელია გონივრულად და მეურნის პოზიციების გათვალისწინებით განსაზღვრული

მოქნილი, ეტაპობრივი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფები-სა და აქციზების დაწესება და ამოქმედება.

\* \* \*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამა (ძირითა-დი მიმართულებები) არ გააჩნია და ქვეყნის ეკონომიკური პოლი-ტიკა, ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (სსფ., მსოფლიო ბანკი და სხვა) ინსტრუქციებზეა დაფუძნებუ-ლი, რაც არსებითად გამორიცხავს ტრადიციული დარგების გან-ვითარებითა და აღვილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამო-ყენებით ქართული ეკონომიკის აღორძინების შესაძლებლობებს. ჩევნდა სამწუხაროდ, ხელისუფალთა პერმანენტულ ცვლას ეკო-ნომიკური განვითარების კურსის პოზიტიური ცვლა არ მოჰყო-ლია, რაც ქვეყანას გაურკვეველი მომავლის საშიშროების წინა-შე აყენებს.

2004 წელი

\* \* \*

უეჭველია, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს ეშველება. ეკონომიკა აღორძინდება, ენერგეტიკული პრობლემები მოგვარდე-ბა, გაიზრდება პენსია-ხელფასები, გადაწყდება უამრავი ყოფითი პრობლემა, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ქვეყნის ეროვნულობისა და სარწმუნოების გადარჩენის პრობლემები, მისი გველა ატრიბუტიკისა და ნიუანსის გათვალის-წინებით. სამწუხაროდ, ამას დიდი დოზებით ასტიმულირებს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესე-ბი. საქართველო მოახლოებულ ამ უზარმაზარ წესს, მხოლოდ და მხოლოდ, ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ფორმირებისა და მისი სრული ძალით ამოქმედების პირობებში გადაურჩება. იგი აღ-ჭურვილი უნდა იყოს შეუზღუდავი უფლებებით და მისი გადაწყ-ვეტილებები და რეკომენდაციები სახელმძღვანელო და უყოფმანოდ შესასრულებელი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო

და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ყოფილ სახელმწიფოდ დარჩება.

**2002 წელი**

\* \* \*

არანაირი დონის საგადასახადო კოდექსი არ გვიშველის, თუ ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით, არ შემუშავდა და არ განხორციელდა ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და რეალური პროგრამა, დაწყებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკითა და დამთავრებული შიდა ბაზრის დაცვის პროგრამით.

**2004 წელი**

\* \* \*

აუცილებელია გატარდეს სერიოზული რეფორმები ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურის, ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების დასახვეწად. როგორც მინიმუმი, ფინანსთა სამინისტროს უეჭველად უნდა მოქსნას საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მეურვეობის ფუნქცია; ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის პარამეტრები უნდა განსაზღვროს არა ფინანსთა სამინისტრომ, არამედ ეკონომიკის სამინისტრომ. სხვა შემთხვევაში ქვეყანა ვერ განახორციელებს ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას, რაც შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადასახადი იქნება შეთანხმების საგანი სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის.

**2004 წელი**

\* \* \*

კიდევ ერთხელ ვამბობ, ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა, ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებას მოუმზადებელი შევხვდით და შედეგებს კარგახანს მოვიმ-

კით. ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, რამდენი ხანია ვქადაგებ, რომ აუცილებელია ქვეყნის პეტრი შიდა ბაზრის დაცვის პროგრამა, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ათეული წლებია, ქვეყნის მმართველობითი იერარქიის ყველა საფეხურზე (პარტიულის გარდა) მომიწია მოღვაწეობა. თვლა არა აქვს იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ჩემს ამ თხოვნას ირონიით ხვდებოდნენ და ახლაც ხვდებიან. იმათგან უმრავლესობა ჯერაც შემორჩა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მათი მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკა თავად დაარეგულირებს ყველა პრობლემას, არ გამართდა. ვიმეორებ, დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ქართველი კაცი სოფლად მიტოვებულ მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს, ზოგ შემთხვევაში ოჯახსაც, აღარ დაუბრუნდება. ქვეყნის შიდა ბაზრის დაუცველობის პირობებში ლოზუნგებით, და-პირებებით, თხოვნით ქართველი კაცი თავის მშობლიურ მიწაზე საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ კონკურენტუნარიან (ერთეულ პროდუქციაზე შრომით დანახარჯებს ვგულისხმობ) პროდუქციას ვერ შექმნის.

2004 წელი

\* \* \*

სახელმწიფო არ იცავს საკუთარი ქვეყნის ბაზარს, იგი დედინაცვალივით ექცევა ადგილობრივ მეწარმეებს, უცხოელები კი გა-პარპაშებული ჰყავს. ამით სახელმწიფო ანგრევს ქვეყნის წარმოებას და შესაბამისად ეკონომიკასაც. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, ბატონებო, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს “ბაზარს” ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში, კერძოდ, მის ბაზარზე მიმდინარე პროცესები.

2004 წელი

\* \* \*

აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლი, როგორც მარეგულირებლი-სა, თანდათან გაიზარდოს მანამ, ვიდრე იგი არ უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე რეალური საარსებო მინიმუმისა და შემო-სავლის დონის გათანაბრებას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლე-ბა სახელმწიფოს, იფიქროს რეგულირების პროცესების დონის თანდათანობით შემცირებაზე.

2004 წელი

\* \* \*

შეიძლება თუ არა, გერქვას დამოუკიდებელი სახელმწიფო და ქვეყანას სხვისი ჭირობითა და გონიერით მართავდე? უნდა გავითვა-ლისწინოთ თუ არა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციების რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ ხელოვნურად შექმნილი პი-რობების გამო, დაბალი რენტაბელობის მიზეზით, საქართველოში ავჩენოთ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის, ვაზიც? ან დავხუროთ თბილისის სატრანსპორტო არტე-რია – მეტროპოლიტენი?

– სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე) უნდა მართონ თუ არა ქვეყანაში მიმდინარე ისეთი ძირითადი პროცესები, როგორებიცაა: შიდა ბაზრის დაცვა, ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლი-ტიკის გატარება, საქონლის ზოგიერთ სახეობებზე დიფერენცირე-ბული საბაჟო ტარიფების შემოღება და ა.შ.?

– შევეგუოთ თუ არა იმას, რომ ქართველი გლეხი მასობრი-ვად ტოვებს სოფელს და ლუკმა-პურის საშოვნელად ისედაც გა-დატაკებულ ქალაქებს მიაშურებს, შედეგად ქვეყნის დოვლათის შემ-ქმნელი ხელგაწვდილ მომხმარებლად ვაქციეთ? ან კიდევ – დავ-ხუჭოთ თვალები იმაზე, რომ კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა ძირითადად იმ მიზეზით, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქცია

ბაზრიდან განიდევნა დემპინგური, ანუ ჩვენს დასაჩინქებლად ხელოვნურად ჩამოყალიბებული დაბალი ფასების გამო?

— მეთანხმებით თუ არა, როცა ქვეყანაში არ იმართება ძირითადი ეკონომიკური პროცესები და იგი თვითდინებაზეა მიშვებული, როცა ქვეყანა უარს ამბობს ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებასა და შიდა ბაზრის დაცვაზე, რის შემდეგაც ყალიბდება ურთულესი სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, ასეთი ქვეყნის მთავარი მტკრი მისი ხელისუფლებაა?

2007 წელი

\* \* \*

დაბეჯითებით მინდა გავიმეორო: თუ კანონმდებლობით არ იქნება დაცული შიდა სამომხმარებლო ბაზარი, მეწარმეობა და გლეხური მეურნეობა, ასეთ შემთხვევაში უცხო ქვეყანასთან “თავისუფალი გაჭრობა”, მთა უფრო, ნულოვანი საბაჟო გადასახადის დაწესება, საქართველოსთვის დამაქცევარი და დამღუპველი აღმოჩნდება. ეს გამოიწვევს ქართული სოფლების მთლიანად დაცარიელებას, ქვეყნის ნებისმიერი პროდუქციის წარმოების არარენტაბელობას, უმუშევრობის ტემპის კიდევ უფრო ზრდას და საბოლოო ანგარიშით — გარდაუვალ დემოგრაფიულ კატასტროფას.

მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ისეთი ძირითადი პროცესები, როგორებიცაა — შიდა ბაზრის დაცვა, ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, საქონლის ზოგიერთ სახეობაზე დიფერენცირებული საბაჟო ტარიფის შემოღება და ასე შემდეგ. ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებს, მზად ვარ, მასთან გაემართო დებატები. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამის გაკეთება საქართველოში შეუძლებელია, რადგან მთავრობამ თავად არ უწყის, ქვეყანა როგორ მართოს და სხვისი აზრის მოსხმენაც არა და არ სურს.

2008 წელი

\* \* \*

ძნელია, მსოფლიო რუკაზე მოიძებნოს ქვეყანა, რომელიც სხვა-დასხვა ფორმითა და მასშტაბით არ ანხორციელებდეს თავისი ქვეყნისთვის მისაღებ საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტულ რე-ჟიმს. აღნიშნულის საილუსტრციოდ ერთ კონკრეტულ ფაქტს მო-ვიყვან და დანარჩენი თავად განსაჯეთ.

ნებისმიერი ცივილური ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრიორი-ტეტული დარგები, როგორც წესი, სარგებლობები პროტექციონის-ტული პოლიტიკის სიკეთით. უფრო მეტიც, დოტაციის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული ქვეყნის სოფლის მეურნეობა. მაგალითად, უვროკავშირში შემავალი 15 ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, სასოფლო-სამეურნეო სფეროში და-საქმებული მოსახლეობის მხოლოდ 5% მოიხმარს უვროკავშირის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს. ამ ხარჯებს ემატება აღნიშნული ქვეყ-ნების კუთვნილი ბიუჯეტიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხებიც. ანუ თეზა იმის თაობაზე, რომ საბაზო ეკონომიკა თავად დაარეგულირებს ყველა პრობლე-მას, არც ამ შემთხვევაში მართლდება.

2009 წელი

\* \* \*

20 წელზე მეტია, სხვა ეკონომიკური პრობლემების პარალე-ლურად, ჩემი, როგორც ეკონომისტის საქმიანობა, სწორედ საგა-დასახადო სისტემის სრულყოფას და, კერძოდ, ფიქსირებულ გა-დასახადს დაუკავშირე. ამ თემაზე ჩემს მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სტატიდან, ერთ-ერთის სათაური ასე ჟღერს: „ფიქსირებული გადასახადები – ტოტალური საგადასახადო კო-რუფციის შემცირებისა და მეწარმეების გადარჩენის ერთადერთი შანსი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 1 აგვის-ტო); როგორც საქართველოს მთავრობის მაშინდელმა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, ხოლო უფრო ადრე ვაჭრობის სამინის-

ტროს ეკონომიკური სამმართველოს უფროსმა, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1992-1993 წლებში მთავრობას ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივაღებინე ორი სპეციალური დადგენილება: ჩემი პოზიციების დასაცავად, არაერთი ხელჩართული ბრძოლა გადავიტანე როგორც საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების, ისე მთავრობის სხდომებზე; არც და ეთერში, სატელევიზიო დებატებზე, რადიო გადაცემებზე და ხელისუფლების მიერ დაქირავებულ ჟურნალისტებთან პოლემიკაზე მითქვამს უარი და ა. შ. და ა. შ.

გამომდინარე ზემოაღნიშვნულიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის განსაკუთრებით ე. წ. პოლიტიკოსებს ვთავაზობ, მოაწყვეთ შეხვედრა სათანადო სპეციალისტებთან „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით და იქ დასახეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზები.

2012 წელი

\* \* \*

პარლამენტმა, ანუ ნაციონალების მორჩილმა უმრავლესობამ, რამდენიმე კაცის ჭკუაზე ადვილად რომ „მართავს“ ქვეყანაში მიმდინარე ურთულეს ეკონომიკურ პროცესებს, ერთი კაცის ახირებით მიიღო ბევრი ჯერ არნახული და არგავნილი გადაწყვეტილება. კერძოდ, მისი ძალისხმეულით და მხარდაჭერით გაუქმდა ეკონომიკის სამინისტროს ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა მცირე ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი, ანტიმონოპოლიური სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი, ფასების სახელმწიფო პოლიტიკის სამსახური, ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა, რომელთა გარეშე წარმოუგენელია ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მართვის სტრუქტურების საქმიანობა.

2010 წელი

# პრიუაჭიზაცია? დიახ, მაურამ...

\* \* \*

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს “ჩვენებურ პრივატიზაციას”? ქვეყნის ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრაა, როცა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ჩალის ფასად იყიდება. ამ გზით მიღებული შემოსავალი გავყოთ გაყიდული ობიექტების რაოდენობაზე და დარწმუნდებით, რომ ერთი ობიექტის საშუალო ღირებულება არ აღემატება ნახევარი კილოგრამი ხორცის ფასს. ასე ღატაკდება ქვეყანა. ვიღაც-ვიღაცები კი მიღიონერები გახდნენ.

1993 წელი

\* \* \*

ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საწყის ეტაპზე, პრივატიზაციის საკითხის შესასწავლად ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის დავალებით, როგორც სამთავრობო ჯგუფის ხელმძღვანელი, მივლინებული გახლდით ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში, მოსკოვსა და ახლანდელ პეტერბურგში. მათი გამოცდილების და ამ მიმართულებით შედგენილი მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მოვამზადე რეკომენდაციები და მოვახსენე ხელისუფლებას, რომელმაც ეს ცნობად მიიღო და ამით ყველაფერი დამთავრდა. არც ერთი ჩვენი რეკომენდაცია არ შესრულებულა, შედეგად კი მოსახლეობას ხელში თითო “მკვდრადშობილი” ვაუჩერი შერჩა. ამით ზოგიერთმა “სახელმწიფო მოღვაწეებ” ამღვრეული წყლის პრინციპით “იმუშავა” და ზომაზე მეტად იხეირა. ამას

ახლა პირველად არ ვამბობ და ამიტომ ზოგიერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა და დაქირავებულმა უურნალისტმა საბაზრო ეკონომიკის მტრად გამომაცხადა. მე ვიყავი მტერი თუ ის ვაჟბატონები, ახლა ხომ მაინც გამოჩნდა? იმდი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი, ქვეყნის ახალი ხელისუფლების ძალისხმევით, ხალხისთვის წაგლეჯილ ქონებას „მშვიდობაში ვეღარ მოიხმარს“.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ სახელმწიფომ თავის ქონებას ვერ მოუარა და ძველებური მიდგომით, ალბათ, ვეღარც მომავალში მოუვლის. მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს, ანუ ხალხის ქონებაზე მესაკუთრის ოპერატიული, სწორი და ობიექტური განპიროვნება, ანუ ქონების განსახელმწიფოების საკითხის სახელმწიფოებრივად გადაწყვეტა. ამ უკანასკნელში რასაც ვგულისხმობ, წესით, გამგებმა უნდა გაიოს.

2004 წელი

\* \* \*

მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად გამოვიყენებთ ტოტალური პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. თუ ეს შემოსავლები მოსახლეობის შხოლოდ გარკვეულ ნაწილს დაურიგდა პენსიებისა და ხელფასების დაგალიანების დასაფარად ან თუნდაც მათი გაზრდისათვის, ეს დროებითი ღონისძიება იქნება და გავრცელდება მხოლოდ მოსახლეობის ერთ ნაწილზე (მოსახლეობის დიდი ნაწილი საპენსიო ასაკის არ არის და არც სახელმწიფო ხელფასს ღებულობს), რაც ეკონომიკას უფრო მეტ კატასტროფამდე მიიყვანს.

აქედან გამომდინარე, პროვატიზაციის პროცესის დაწყებამდე ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს პრივატიზაციიდან მისაღები მოსალოდნელი თანხის შემდგომი გამოყენების კონკრეტული პროგრამა, რომლის ფორმულა უნდა იყოს მარტივი და ამოხსნას ამოცანა —

რომელი საწარმოები ავამუშაოთ მიღებული შემოსავლებით და როგორ გავუნაწილოთ ამ საწარმოების ამუშავების შედეგად მიღებული მოგება ქვეყნის უკლებლივ ყველა მოსახლეს.

2004 წელი

\* \* \*

ხელისუფლებას ხმამაღლა ვეუბნები: ქვეყნისთვის დამღუპველია დებულება იმის შესახებ, რომ „სინდისის გარდა ყველაფრის პრივატიზაცია უნდა მოხდეს“. არა, ბატონებო, ოქვენთვის არავის არ მოუცია უფლება, რომ „პრიზვატიზაცია“ გაუკეთოთ ეროვნულ სიმდიდრეს (ტყე, ძღინარე, მიწა, წყალი, წიაღისეული, სულიერი და მატერიალური ფასეულობანი). ჩვენს პლანეტაზე არ არსებობს ქვეყანა ამ ფასეულობათა ყიდვის, გაყიდვის, გაცემა-გასხვისების უფლება ვინმესთვის რომ დაეკანონებინოს. ახლა იმტვრიეთ თავი და, როგორც გინდათ, ისე დაუბრუნეთ ერს თავისი ეროვნული სიმდიდრე.

\* \* \*

მოგეხსენებათ, რომ სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობა და ხალხის კეთილდღეობა უშუალო ურთიერთდამოკიდებულებაშია. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებით განხორციელება ეფუძნება ქვეყნის ცალკეული მოქალაქის ინტელექტუალურ და ეკონომიკურ პოტენციალს. ამიტომ, საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს სახელმწიფო ქონებაში მისი შესაბამისი თანაბარი და სამართლიანი წილი უნდა მიეჩინოს.

\* \* \*

ქვეყნის ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ საქართველოს მოსახლეობას დაუბრუნოს ეკონომიკური უფლება საკუთარი და, რაც მთავარია, კუთვნილი ქონების მფლობელობაზე. საუბარია იმ კაპიტალზე, რომელსაც უნარი აქვს იგი აქციოს დივიდენდის მომტანი ქონების რეალურ მეწილედ.

მსოფლიო პრაქტიკით ცნობილია, რომ პრივატიზაციის (და არა „პრივატიზაციის“) პროცესი წარმოადგენს სახელმწიფო ქონების გადაცემას კერძო საკუთრებაში. ამ ღონისძიების დედააზრი ეკონომიკის გარკვეული მიმართულების გააქტიურებაში და გამოცოცხლებაში მდგომარეობს და სულაც არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს.

\* \* \*

წინასწარ შეგნებული განზრახვით პრივატიზაციის პროცესი ქვეყანაში ხორციელდებოდა მისი ფინანსური შედეგების გაუანგარიშებლად, არარეალურად დაბალ გასაყიდ ფასებში (ზოგჯერ უფასოდაც) გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად სწრაფ ტემპებში. ამიტომ პრივატიზაცია წარიმართა დამახინჯებული ფორმით და მავანმა ნათესაური, ოჯახური თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხელოვნურად გადაინაწილა ქონება. კლანებს მიეყიდა არა მარტო საწარმოები, არამედ ბანკებიც. შექმნილმა ვითარებამ ბანკების ახალ მფლობელებს საშუალება მისცა, შეეძინათ საპრივატიზაციოდ გამზადებული საწარმოები მათი რეალური ღირებულების 10-15%-ად. თანხას „სესხულობდნენ“ საკუთარ ბანკებში ძალზე „შედავათიანი პირობებით“. ამის შედეგი იყო, რომ გარიგებებისას სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ იღებდა „ცოცხალ ფულს“. ჩამოყალიბდა სიტუაცია, როდესაც ქვეწის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის საშუალება წაერთვა, ხოლო ეროვნული ქონების არაკანონიერად ხელში ჩამდებებს პირიქით — ამ ქონების განკარგვის უფლება მიეცათ. სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა დატოვეს საკუთრების გარეშე. ანუ ცნობილი ხალხური სიბრძნით თუ ვიხელმძღვანელებთ, ისინი დატოვეს სამშობლოს გარეშე.

\* \* \*

დღეისათვის შექმნილი ვითარება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრეც დაუმსახურებლად და უკა-

ნონოდ აღმოჩნდა ქვეყნის მოსახლეობის 2-3%-ის ხელში. ერთს უდიდესი ნაწილი კი გაუბედურდა და სიღატაკის უფსკრულში ჩავარდა, მოსახლეობის ყოველი მეორე – სიღარიბის ზღვარს დაბლაა. ამის მიზეზი ისაა, რომ პრივატიზაციის ჩატარებისას შეგნებულად არ ისარგებლეს უმარტივესი და სამართლიანი პრინციპით – ყველაფერი განაწილდეს თანაბრად, ყველაზე! ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია საზოგადოების უდიდესი ნაწილის იზოლირება ამ პროცესში.

ვიმეორებთ, ქონების დარიგებისას გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა არა კანონისა და სამართლიანობის უზენაესობით, არა-მედ პირადი ან კლანური დამოკიდებულებებისა და კავშირების საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის 2-3%-ის სახეი-როდ, რომელთაც ვერ გაითვალისწინეს ებრაული ხალხური სიბრძნე: „საკუთრება მხოლოდ ის არის, რაც არავითარ პრეტენზიებს და ხიფათს არ ექვმდებარება“.

2009 წელი

# საქართველოს მწერალთა უნიკლობრივი კერძათეჭამი სათემპო

\* \* \*

მთელი ქართული ეროვნული ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობამდე მიყვანაში თანაბარი წვლილი მიუძღვის როგორც მწერლობას, ისე ზოგიერთ ქართველ მოღვაწესაც. თქვენ, ალბათ, იკითხავთ, კი მაგრამ ქართული მწერლობა რა შუაშიაო? გიპასუხებთ, შუაში კი არა თავშია, რატომ? იმიტომ, რომ:

1. ქართველ მწერლებს ევალებოდათ და ევალებათ მისთეის ჩვეული სიმწვავით ქვეყნის ხელისეფლების ყურადღება მიაპყოლს იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეისათვისაც კი არ გაგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა და კონცეფცია. ე.ი. არ ვიცით, რა გვინდა, საით მივდივართ, როგორი საზოგადოების აშენებას ვაძირებთ, საერთოდ რაღაც გარკვეული მიზნისაკენ მივდივართ თუ მივექანებით და მრავალი სხვა.

2. ჩვენი აზრით, ქართული მწერლობის ჩვეულ რისხვას უნდა იმსახურებდეს ის ფაქტი, რომ ქვეყნის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო დაიცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა, რაც ეკონომიკისტთა ენაზე განაპირობა შიდა ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყნაში წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური ანუ ზარალიანი გახდა.

3. ქართულმა მწერლობამ განვაში უნდა ატეხოს იმასთან დაკავშირდებით, რომ დღეს ქვეყანაში სუფთა ხელებით წარმოებული ბიზნესი პრაქტიკულად არ არსებობს. არ იქნა და არ დაადგა საშველი მოსახლეობის საშუალო ფერის ჩამოყალიბებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის რეალური პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას, მოქნილი და მისაღები საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და სხვა მრავალი.

დამერწმუნეთ, რომ ამ და სხვა პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, საერთოდ ქვეყანა და მათ შორის ქართული მწერლობაც, ღლევანდელ სიტუაციაში არ ჩავარდებოდა. მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ ვიდრე საქართველო შავი ბიზნესის აღზევების სტადიაშია, მისგან ქართული მწერლობა რაიმე მეცნატობას არ უნდა ელოდეს. თუ ქართველი მეწარმე თავს დააღწევს ე.წ. გავლენის სფეროებს, მაშინ მათ რიგებში კვლავ გაჩნდებიან სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვანი და სხვანი.

4. ქართულ მწერლობას სათანადო სიფხიზლე რომ გამოეჩინა, ზოგიერთი ეგრეთწოდებული წარმატებული ბიზნესმენი, ვერ გაძედავდა ჩვენს დარწმუნებას, თავის მოწონებას და ტრაბახს, რომ მათ თავიანთი ქონების დაგროვება, ანუ დანაშაულებრივი ბიზნესის აღზევება მოახერხეს ერთ-ორ წელიწადში, საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების პერიოდში, რომელმაც, სამწუხაროდ, მის პირველ ეტაპზე, თან მოიტანა ომი, შიმშილი, ნკრევა, ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახება, ეროვნული პრიორიტეტული დარგების შეგნებულად გაჩანაგება, ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაკოტრება და გადაგვარება, ეროვნული ცნობიერების უგულებელყოფა, საკუთარი სხეულით ვაჭრობის აღზევება და სხვა მრავალი უბედურება.

5. დიდი ფული, ერთ-ორ წელიწადში, არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არანაირი ცივილური გზით არ იშოვება. ამის ერთადერთი რეალური გზა მხოლოდ და მხოლოდ სხვის უბედურებაზე აგებული პირადი ბედნიერებაა, რომელიც გარკველი ხნის შემდეგ ბუმერანგივით უბრუნდებათ ხოლმე ე.წ. წარმატებულ ბიზნესმენებს.

ასეთი ბიზნესი დამყარებულია მხოლოდ რამდენიმე საქმიანობაზე, რომელთა შორის გამორჩეულია: უცხოური კრედიტების წილში ჩაჯდომა, ხალხის დამაქცევარი უსაქონლო საბანკო ოპერაციების წარმოება, კონტრაბანდის აღზევება, სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზაცია, ერის ფიზიკური განადგურების საფასურად განხორციელებული “წარმატებული” ნარკობიზნესი და ჯერ კიდევ აღზევების სტადიაში მყოფი მოვლენა, რომელსაც ქრთამი ჰქვია.

ერთი სიტყვით, ე.წ. „წარმატებული“ ბიზნესის სხვა გზა, რომელიც ერთ-ორ წელიწადში ასეთ შედეგებს იძლევა, ჯერჯერობით კაცობრიობის გენის არ შეუქმნია და ასეთ დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ მწერლობას „კაკაბეთის ზარები“ მისთვის ჩვეული სიმძლავრით ჯერჯერობით არ შემოუკრაეს.

6. ქართული მწერლობის სათანადო რიდი და ხათრი რომ პქონდეთ, ან თუნდაც უხერხულობის რაიმე გრძნობა რომ გააჩნდეთ, ზოგიერთი ეგრეთ წოდებული ყოფილი წარმატებული ბიზნესში და მათ შორის ახლა უკვე ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენელიც და მათი ოჯახის წევრები ვერ გაბედავდნენ იმის მტკიცებას, რომ ისინი თავიანთ ჩასაცმელ-დასახურს საქართველოში არ ყიდულობენ, რომ ისინი ამას უცხოეთში მივლინების დროს ახერხებენ ხოლმე. ძნელი დასაჯერებელია, პრაქტიკულად როგორ და რა საშუალებით უნდა შეძლოს უცხო ქვეყანაში სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელმა ან თუნდაც რიგითმა წევრმა თავიანთ საყიდლებზე მაღაზიებში სიარული. და ეს მაშინ, როცა მრავალი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ვერ ვნახე ბიზნესში, რომელიც გამომცემლობა „საქართველოს“ დაეხმარებოდა „ქართული პოზიტის თანავარსკვლავედის“ 7-ტომიანი გამოცემის დაფინანსებაში (შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი) ხოლო იაფეთისანი შოუპროგრამების დაფინანსებისთვის რიგში დგანან. კომენტარი თქვენთვის მომინდვია.

7. ქართულმა მწერლობამ ამ კატეგორიის „მოღვაწეებს“ უნდა ურჩიოს, რომ ნუ ტრაბახობენ და თავს ნუ იწონებენ თავიანთი

ოჯახის წევრების ჩაცმა-დახურვის დონით, უცხოური ფირმების სახელწოდებების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ანტიკვარული ნივთების წარმოშობის ისტორიაში განსწავლულობით, უცხოეთის პურორტებზე გრიალით, ნათესავებისა და ახლობლების სახელზე გაფორმებული ფეშენებელური სასახლეებით, საკუთარი რესტორნების, კაზინოების, აბანო-საპარიკმახეროების ფართო ქსელით და სხვა. ამის ნაცვლად აჯობებს ისინი ერთმანეთს შეეჯიბრონ ქვეყნის სასიკეთოდ ნაღვაწი საქმეებით, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების გვერდში დგომის უნარითა და, ბოლოს და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მათ მიერ აღზრდილი ღირსეული შეიღებით.

2000 წელი

# ქართული განვითარების მიზანი და მიზანის მიღწევა!

\* \* \*

„კაკაბეთის ზარების“ შემოკვრის დრო დადგა სრულიად საქართველოში სახელმწიფო ენის – უნიკალური და განუმეორებელი ჩვენი დედაქანის მეორეხარისხოვან ენად გადაქცევის საშიშროების გამო. დღეს, თუ ვინმეს წარმოჩნდა უნდა განსწავლულობით, საუბარში უცხო სიტყვების ორომტრიალით იწონებს თავს. სხვა დარგებში რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია კატასტროფულად ჩამორჩა მოთხოვნებს: თუ ქვეყანამ ამა თუ იმ მეცნიერებაში თავისი ეროვნული ტერმინოლოგია მაქსიმალურად არ დაამკვიდრა, მაშინ ამ ქვეყნის ენაზე სამეცნიერო ნაშრომების შექმნა თანდათან დაკარგავს აქტუალობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული მეცნიერების მამებმა, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე მეცნიერების ყველა დარგში ქართული ტერმინოლოგის შემოღებას და დამკვიდრებას მიანიჭეს სწორედ უპირველესი მნიშვნელობა. პირადად გახლავართ მოწმე იმ დისპეციებისა, რომლებზეც ქართული ეკონომიკური აზრის აღიარებული ლიდერები წლების განმავლობაში უდიდესი პრინციპულობით ბჭობდნენ და დაობდნენ თითოეული ეკონომიკური ტერმინის დამკვიდრების ავკარგიანობასა და მნიშვნელობაზე. თუ ეს მექანიზმები სასწრაფოდ არ ამუშავდა, მაშინ ქართული სამეცნიერო ენა დაკარგავს ფუნქციას და ის მხოლოდ სასაუბრო, საყველპურო ენა გახდება. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ მშობლიურ ენაზე ლექსიც აღარ დაიწერება, ბავშვებისათვის მშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღება აზრს დაკარგავს

და ის დაგვემართება, რაც უკვე დაემართა ჩვენზე ათჯერ და ას-ჯერ უფრო დიდ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილ თითო-ოროლა მშობლიურენოვან სკოლებში ბავშვების შეყვანა არაპრესტიულად და ჩამორჩენილობის ღონის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ითვლება.

თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა, ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდლამდე მოტანილი „ჩვენი ენა ქართული“ ისტორიის კუთვნილება გახდება.

\* \* \*

ქართული ენის გადარჩენის პრობლემა, სხვებთან ერთად თავის თავზე უნდა აიღოს ქართულმა რადიომ და ტელეარხებმა. როგორ? აი, ასეთი თანმიმდევრობით:

დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და შეიქმნას ისეთი პროგრამები, როგორებიც იყო მაგალითად ლევან ღვინჯილიას პოპულარული პროგრამა ან I არხის გადაცემებს შორის წშირი მოკლე-მოკლე ჩართვები, რომლებიც ლაკონიურად განმარტავდნენ ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის სწორ და არასწორ ფორმებს.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პიროვნებები არიან მინისტრები, პარლამენტარები და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკები. ამიტომ რადიო-ტელევიზიებმა კვირის განმავლობაში უნდა მოაგროვონ მათი საჯარო გამოსვლებიდან მახინჯი ფრაგმენტები და კვირის რომელიმე წინასწარ დათქმულ დღეს და დროს მოსახლეობას წარუდგინონ მათი შედევრების კოლაჟი სათანადო კომენტარით. ასეთ გადაცემებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ქართულ ენაში მახვილის სწორად დასმის პრობლემასაც. მოგეხსენებათ, ზოგიერთ უცხო ენაში მახვილი კეთდება სიტყვის ბოლო ხმოვანზე, ხოლო ქართულში – სიტყვის პირველ ხმოვანზე, დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს პგონია, რომ მახვილის უცხო ენის პრინციპით დასმა მათ განსწავლულობაზე მიუთითებს. მე კი პირიქით ვფიქრობ. მაგალითად, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უცხო ენების ცოდნაში ბევრი ვერ გაუჯიბ-

რება, მაგრამ მან ინტენსიური მუშაობის შედეგად იმდენად დახვეწია ქართული საუბარი, რომ ანალოგიურ შეცდომებს პრაქტიკულად აღარ უშევებს.

სამწუხაროდ, განსაკუთრებით ეს პრობლემა პირველ რიგში მოსაგვარებელი აქვს უმრავლესი ტელეარხის პროგრამების წამყვანებს.

თავს უფლებას ვაძლევ ვურჩიო ტელე-რადიო ჟურნალისტებს, რომ ჩვეულებრივი მსმენელისათვის აღსაქმელად უფრო ადვილია ნორმალური ტონალობითა და სიჩქარით მიწოდებული ინფორმაცია, ვიდრე „გაქცეული“ და მოვალეობის მოსახდელი რაღაც სიტყვების კორიანტელი.

\* \* \*

სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით უნდა შეიქმნას ქართული ენის დაცვის პოლიცია (ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, პირობითია), რომელსაც უფლება უქნება უმაღლესი დონის ფულადი საჯარიმო სანქციები გამოიყენოს მათი მისამართით, ვინც აბუჩად იგდებს მშობლიურ ენას და სარეკლამო დაფებს, რეკლამის სხვა ფორმებს გაუგებარს ხდის. ქართული ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. არსებობს შესაბამისი კანონი და ვაიძულოთ, ვისაც ეს ეხება, დაიცვას კანონის მოთხოვნები.

2009 წელი

\* \* \*

### ენა გადავირჩინოთ, ქართველებო!

2010 წლის 16 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში დაფუძნების შემდეგ პირველად შევიკრიბეთ „დედა-ენის საზოგადოების“ კომისიის წევრები, ფრიად ავტორიტეტული და მშობლიური ენის ჭეშმარიტად გულშემატკივარი ადამიანები – ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, გია (გიორგი) ნიუარაძე, მანანა გიგინეიშვილი, ლევან ჩიქვანაძა, ლევან ლვინჯილია, ვახტანგ როდონაძა, რისმაგ გორდეზიანი, სოსო ცისკა-

რიშვილი, შუქია აფრიდონიძე, ავთანდილ არაბული, მარიკა ოძელი, თინათინ მარგალიტაძე, გუჯა მაკარიძე, თამაზ ებანოიძე, თქვენი მონა-მორჩილი და სხვები... იყო დიდი სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ყველამ ერთად, როგორ გადავარჩინოთ გლობალიზაციის აგრძელებად მოძალების უამს ჩვენი ენა – ქართული, რამეთუ ასეთ პირობებში, სწორედ მცირე ერები ზარალ-დებიან ყველაზე მეტად.

კომისიის წევრებმა ერთხმად მივიღეთ „დედა-ენის დაცვის მანიფესტი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკინინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქ-სურმა სიმახინჯებმაც. ენა ერის ბურჯაა და იგი შევლას საჭიროებს.

დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.

მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფილოლოგები), რომელიც შეიმუშავებენ ქართული ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის დარგობრივ კვლევით ცენტრებს, გააღრმავებენ ქართული ენისა და სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის მეშვეობით, სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება-გავრცელების გზით.

მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცებს სხვას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადების მიზნით.

სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ხანგრძლივგადიანი კომპლექსური

გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოვიდებიზე და დავიცვათ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.

გადავარჩინოთ ენა და ენა გადაგვარჩენს ჩვენ.“

— ყველაფერი, თთქოს, კარგად არის ნათქვამი მანიფესტში, თუმცა, ჩემი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას სა-თანადო დოკუმენტი, რომელიც დააკანონებს, რომ „დედაენის სა-ზოგადოება“ არის ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკრძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება და მისი რეკომენდაციები და გა-დაწყვეტილებები სახელმძღვანელო და დაუყოვნებლივ შესასრუ-ლებელია ქვეწის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფ-ლების ნებისმიერი შტოსათვის, აგრეთვე არასამთავრობო და კერ-ძო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში ჩასატარებელი უზარმაზარი სამუშაო ფუჭი გახდება, ანუ ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწევთ.

ამასთან, აუცილებელია, რომ ხელისუფლება ჩაერთოს ამ საშ-ვიდლიშვილო საქმეში. იმ „აგადსახსნებელი“ კომუნისტების დრ-ოს, ასეთ საქვეყნო საკითხებს, როგორც წესი, მთავრობის თავმ-ჯდომარე ედგა სათავეში. პრომლემას აქტუალობა არ დაუკარგავს და ახლაც დედაენა გვყავს მისახდი, რომლის გადარჩენამაც მთლიანად ჩვენი ერი უნდა გადაარჩინოს!

**გაზ. „საქ. რესპუბლიკა“, 19.X.2010**

\* \* \*

წლების განმავლობაში ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ სა-ქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება:

გაადარჩინოს ქართული ენა დამახინჯების, გადაგვარების, დაკ-ნინებისა და განადგურების საფრთხისგან;

დაიცვას ქართული ენა ბარბარიზმის, კალკის, მიბაძვისა და სხვა სიმახინჯებისგან;

აამოქმედოს და ააღორძინოს ზეპარტიული, პოლიტიკურად მი-უკერძოებელი, ზოგადეროვნული, თუნდაც საქართველოს პარლა-

მენტის მფარველობაში მყოფი ორგანიზაცია „ენის სახელმწიფო პალატა“, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად;

გააქტიუროს და ხელი შეუწყოს სათანადო ლექსიკისა და დარგობრივი კვლევითი ცენტრების საქმიანობას, სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის დახმარებით, სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას, ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადებას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის განმტკიცებას და სხვ.

\* \* \*

ხელისუფლების მხრიდან, ამ საშვილიშვილო პრობლემაზე სათანადო რეაგირების მიზნით, 2011 წლის 4 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პირადად ვაახლე წერილი (რომელშიც შავით თეთრზე წერია: „პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაბვრის პირველ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში „რეკლამის შესახებ“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებს, საკუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამი აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება, როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.

სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, მოამზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეგლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა.

2011 წელი

# პირობლება ნომერი პირველი

\* \* \*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაც ჩვენს ახალგაზრდა თაობას, ჩვენს ბავშვებს გადაარჩენს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, გახლავთ სპორტი. სპორტი რომ ძვირი სიამოვნებაა, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ნუთუ ისე გვიჭირს, რომ ბავშვებს სპორტულ ბაზებზე სიარულის უფლებაც ჩამოვართვით და ჩვენი მოძავალი თაობის ჯანმრთელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ? გულახლილად თუ ვიტყვით, ჩვენ ის გვიჭირს, რომ ამ ცხოვრებისეული მნიშვნელობის პრობლემას, ანუ ჩვენი თაობის გადარჩენის აუცილებლობას, ვერ მივეცით სათანადო შეფასება. აქ ფინანსური პრობლემები ჩვენ თვითონ შევქმნით და ჩვენ თვითონვე უნდა გადავჭრათ ისინი.

\* \* \*

ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ ე.წ. საბაზრო ეკონომიკას გადავაყოლოთ ჩვენი მომავალი თაობა. ერთი მითხარით, — რა გამართლება აქვს თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ასეთი დოზით რეკლამირებას? გეგულებათ ისეთი სკოლა, რომლის ახლო-მახლო ჯიხური არ იდგეს ათასგვარი სასმელითა და სიგარეტით? იმჯდია, ჩვენი რადიო და ტელევიზია ამ პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შემოჰკრავს “კაკაბეთის ზარებს”, რათა აღარ გავიგონოთ შემზარავი სამი სიტყვა “ბიძია, დამეხმარე რაა!..”

\* \* \*

სკოლებში სპორტული და სხდომათა დარბაზების გაქირავებით ბავშვებს სწავლის შემდეგ იქ ყოფნის უფლება მოვუსპეთ. ძალი-ანაც რომ უნდოდეთ და მუქთა იყოს მხატვრული თვითშემოქმე-დებისა და სპორტულ წრეებში მუშაობა, რეალურად ხომ ამოვუ-ძირკვეთ მათ ამის შესაძლებლობა?

1996 წელი

\* \* \*

— იმისათვის, რომ სამხედრო სამსახური რეალურად გახდეს “სავალდებულო”, ქვეყანამ უნდა გაატაროს რადიკალური ღონის-ძიებები, რათა ის მართლაც იყოს პრესტიული და სავალდებუ-ლო. ჩემი აზრით, ამისათვის აუცილებელია:

— საშუალო სკოლებსა და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწე-სებულებებში იმ დონეზე დადგეს სამხედრო სწავლება, რომ ბავშ-ვებს, განურჩევლად სქესისა, ბავშვობიდანვე გავუღვივოთ ინტერე-სი, პატივისცემა და მოწიწება ამ პრესტიული საქმიანობისადმი;

— ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში რადიკალურად გარდაიქმნას სამხედ-რო სწავლების სისტემა და ამასთან ამ სასწავლებელთა კურსდამ-თავრებულები არ უნდა გათავისუფლდნენ სავალდებულო სამხედ-რო სამსახურისაგან;

— სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს მამაკაცებისათვის ქვეყნის საკანონმდებლო, აღ-მასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებებში ნებისმიერი თანამდებობის (არჩევითიც და დანიშვნითიც) დაკავებისას;

— მამაკაცებმა, 60 წლის ასაკამდე, ყოველწლიურად გაიარონ ერთვიანი აუცილებელი სამხედრო სამსახური სამუშაოდან მოწყ-ვეტით, ყოველგვარი შეღავათისა და გამონაკლისის გარეშე;

— შეღავათებისა და გამონაკლისების მიცემის უფლება ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებაზე დაამტკიცოს ქვეყნის პარლამენტის პლენარულმა სხდომამ, კანდიდატის აუცილებელი თანდასწრებით.

ცოტას გადავუხვევ და ძალიან მოკლედ, სქემატურად გიამბობთ შვეიცარიაში სამობილიზაციო სამსახურთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდს. ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ჩასვლისას, ოფიციალური შეხვედრა მქონდა რამდენიმე ბიზნესმენთან. მათ შორის ორთან, რომლებიც 60 წლამდე ასაკისა იქნებოდნენ, შედარებით უფრო საქმიანი კონტაქტები დავამყარე და ამიტომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ისევ შვეიცარიაში, კვლავ მომიწა მათთან შეხვედრა. პირველი შეხვედრებისას ჩვეულებრივად, სამუშაო საათებში ვიკრიბებოდით. მეორედ ჩასვლისას კი შეხვედრის დრო საღამოს 8-9 საათზე დამინიშნეს.

რა გაეწყობა.

შეხვედრაზე ორი სამხედრო ფორმიანი უცხო მამაკაცი მოვიდა.

რა თქმა უნდა, გამიკვირდა, როგორც კარგ ნაცნობს და ახლობელს, ისე რომ მომიახლოვდნენ და მომესალმწენ, ყურადღების მომენტალური დაძაბვით დავადგინე, რომ ჩემ წინ ის ორი ჩემი ნაცნობი შვეიცარიელი ბიზნესმენი იდგა. გაკირვება რომ შემატევს, ჩემს შეკითხვას არ დაელოდნენ და თავად დაწვრილებით მიამბეს სამხედრო ფორმაში ჩემთან მოსვლის მიზეზი.

ჩემს ათასგვარ შეკითხვაზე დეტალური პასუხის შემდეგ დავადგინე, რომ 60 წლამდე ასაკის შვეიცარელი მამაკაცი, ჩინის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, წელიწადში ერთხელ, ერთი თვით ხდება სამხედრო მოსამსახურე ამ სიტყვის აბსოლუტური და პირდაპირი მნიშვნელობით.

სხვა უამრავ საკითხში შვეიცარიას ძალიან დიდხანს რომ ვერ გავუტოლდებით, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყანა აღმზრდებობითი, სამხედრო აღმშენებლობისა და სამობილიზაციო საქმიანობის რეალურად გარდაქმნის მიზნით, სათანადო სახელმწიფო პროგრამას შემუშავებს, დამტკიცებს და მის უცილობელ შესრულებას უზრუნველყოფს “სტალინური დისციპლინის” დონეზე, მაშინ ქვეყნის ნომერი პირველი პრობლემა თანდათან გადაწყდება და საქართველოსაც ეშველება – დიდგორის გამეორებას კიდევ შევძლებთ!

\* \* \*

მოგეხსენებათ, ყველა ისტორიულ ფორმაციას, ეპოქას თუ პე-  
რიოდს, ახლავს თავისი დადებითი თუ უარყოფითი მომენტები,  
ჰყავს უარყოფითი და დადებითი პიროვნებები და ა. შ. აქედან გა-  
მომდინარე, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოსმით ყველას ერთნაი-  
რად რატომ ვაქიაქებთ? თუნდაც საბჭოთა სისტემას და კომუნის-  
ტებსაც კი? მასსოვს, თუ ვინმე ღირსეული და პატიოსანი კაცი  
იყო – ნაღდი კომუნისტიაო, იტყოდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა,  
უღირსებიც ბლომად ჰყავდათ, ასეთი კატაკლიზმები საზოგადოე-  
ბის განვითარების ყველა პერიოდს ახასიათებს და, გვინდა თუ არ  
გვინდა, ამისგან არც მომავალში ვართ დაზღვეულნი.

როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, კონკრეტულად საქარ-  
თველოში, საბჭოთა ეპოქაში მოხდა მეცნიერების, კულტურის,  
მწერლობის, სპორტისა და სხვა დარგების მსოფლიო სტანდარტე-  
ბის დონეზე აყვანა. გავიხსენოთ იმ „ავადსახსენებელ“ პერიოდში,  
საქართველოში რამდენი მსოფლიო დონის ქართული სამეცნიერო  
სკოლა არსებობდა, რამდენ ქართველ ხელოვანს და კულტურის  
დარგის მოღვაწეს უკრავდა მსოფლიო ტაშს; სპეციალური და ამო-  
უწურავი მსჯელობის საგანია იმდროინდელი ქართული კინოსა და  
თეატრის ფენომენი; მსოფლიო ლიდერები ვიყავით ოლიმპიურ თა-  
მაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში ქართველ სპორტ-  
სმენთა მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობით. სასიამოვნო და  
საამაყოა, რომ ტრადიცია გრძელდება და საბეჭინიეროდ, იმ ეპოქა-  
ში აღზრდილი ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, რომ იტყვიან,  
მსოფლიო მეცნიერების ცალკეულ დარგებს, დღესაც „აზანზარებს“.

ძალზე ხმამაღლა და უადგილოდ ნათქვამად თუ არ ჩამეთვლე-  
ბა, ორიოდ სიტყვით მაინც ვიტყვი, ყველაფერს თავი რომ დავა-  
ნებოთ, საბჭოთა პერიოდში ცალკეულ ქართველ მოღვაწეთა თავ-  
დადებამ, ქართული ენა ხომ მაინც გადაგვირჩინა! დღეს კი, სამ-  
წუხაროდ, საპირისპირო რეალობასთან გვაქვს საქმე.

2011 წელი

\* \* \*

ჩემს მეხსიერებაში დედაუნივერსიტეტთან დაკავშირებული ბევრი სასიამოვნო და წარმოიდგინეთ, რამდენიმე უსიამოვნო მოგონებაც ამოტივტივდა.

სასიამოვნო-მეთქი რომ მოგახსენეთ, მხედველობაში მქონდა თეთრ ტაძარში პირველად ჩემი ფეხის შეღვმა; პირველ მისაღებ გამოცდაზე მიღებული ხუთიანის გამო განცდილი სიხარული; ჯერ კიდევ მეხუთეკურსელი სტუდენტის კათედრის შტატიან თანამშრომლად გაფორმება და ცხოვრებაში პირველი უნივერსიტეტული ხელფასის მიღება; 1961 წლიდან დაწყებული დღემდე, უნივერსიტეტის ყველა საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებაში და ქართული ენის გადარჩენის ცნობილ მანიფესტაციაში მონაწილეობა; რამდენიმე წლის მანილზე მშობლიური უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფილის ფაკულტეტებზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ყოფნა; მრავალი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის სახელის უკავებოფისადმი მიძღვნილი, ჩემს მიერ დაარსებული გაზეთ „თანადგომა“-ს პერსონალური ნომრების გამოშვებით განცდილი კმაყოფილების გრძნობა და სხვა.

ყველაზე მძიმედ კი მახსენდება რამდენიმე წლის წინათ, ერთი შემთხვევითი რექტორის ღროს, უნივერსიტეტის გადარჩენისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილე ქართველ მეცნიერთა პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში დამწყვდევის ფაქტი. მათ შორის, როგორც ერთ-ერთი რიგითი უნივერსიტეტელი და მისი გულშემატკივარი, მეც აღმოვჩნდი.

\* \* \*

2011 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის 93-ე წლისთავის დღეს, საქართველოს რადიოს პირველი არხის უურნალისტს დილით ადრე ინტერვიუ ჰქონდა უნივერსიტეტის 10-მდე სტუდენტთან. დასმულ კითხვაზე – ვინ არიან დაკრძალულნი და ვისი ძეგლები დგას უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მდებარე სკვერში? ჩემდა გასაოცრად,

ყველა სტუდენტის პასუხი თითქმის ერთნაირი იყო: ალბათ, ერთი ივანე ჯავახიშვილის იქნება, სხვა არ ვიცითო. სწორედ ასეთ შემთხვევაზე აქვს ნათქვამი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს – „საით მიღიხარ, საკოდავო საქართველო!“

\* \* \*

პირდაპირ გეტყვით, რომ ახალგაზრდობის მობილზაციისა და თავდადების გარეშე ქვეყანაში მთელი მისი ისტორიის მანძილზე არც ერთი სერიოზული პრობლემა არ გადაწყვეტილა და აქედან გამომდინარე, არც მომავალში გადაწყდება.

2011 წელი

# კის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნი კები?

\* \* \*

ამჟამად საქართველო, სამწუხაროდ, მაგრამ სავსებით დამსახურებულად მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, სადაც დანაშაულებები უმაღლეს დონეზეა. ტოტალური კრიმინალიზაციის, ყველგან არსებული რეკეტის, თავაშვებული კორუფციის გამო იკვეცება წარმოება, სულ უფრო კლებულობს იმათი რიცხვი, ვისაც სურთ თავი-ანთი ძალები გამოცადონ ბიზნესში. ეკონომიკის ყველა სფეროში შეჭრილი კრიმინალური სამყარო არ კმაყოფილდება მხოლოდ ხარკის შეწერით. მას სურს თავისი წილი იქონიოს საქმეში. სამწუხაროდ, ეკონომიკის კრიმინალიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

\* \* \*

მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაჟო დანაშაულებები, რომლებიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ უდიდესი რაოდენობის ნედლეულის, მასალების, სახელმწიფო საწარმოებში ჩალის ფასად ნაყიდი სხვადასხვა საქონლის უკანონო გაზიდვასთან.

\* \* \*

სამეწარმეო საქმიაობის ახალმა პირობებმა, ახალი სახის ეკონომიკური დანაშაულებანი გამოავლინა. მათ პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს კრედიტების ათვისების მაქინაციები (მეტწილად

საზღვარგარეთიდან მიღებული). ამ კრედიტების ფარულმა განაწილებამ და მათი ათვისების დროს ხელისუფალთა შემწყნარებლურმა სიბეცემ, საქართველოს ყველაზე უიმედო კრედიტორის სახელი „მოუხვეჭა“. რომ არა სახელმწიფო აპარატთან კავშირი, საქართველოს ე.წ. „ბიზნესმენთა კლუბი“ დღევანდელთან შედარებით უფრო მცირებიცხოვანი იქნებოდა.

\* \* \*

საქართველოში კრიმინალური ბიზნესის ეკონომიკურ-სოციალურ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს უკანონო საკუთრების მფლობელთა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა შორის რეალურად დამყარებული “საწარმოო-კომერციული” ურთიერთობა. ამასთან ძალაუფლებისათვის პოლიტიკოსთა ბრძოლამ მაშინ, როცა არ არსებობს გამოკვეთილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგია, განაპირობა ის, რომ ჩამოყალიბდა თავისი არსით კრიმინალური კავშირი შმართველობით იურარაქიასა და კრიმინალურ ბიზნესს შორის.

1995 წელი

\* \* \*

ქვეყნის გაუბედურების ხარჯზე ნაშოვნი ქონების აფიშირება უზნეობაა და მეტი არაფერი. მეტსაც გეტყვით, ასეთი ქცევა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათს თავხედობაზე მეტყველებს.

ეს ხალხი მტაცებელია, მტაცებელს კი სენტენციური განსჯი-სათვის არ სცალია. ამიტომაცაა დღეს, ასე ურცხვად რომ ტრა-ბახობენ, ქონება იმ დროს ჩავიგდეთ ხელში, როცა თქვენ მიტინ-გებზე დადიოდით და “თავისუფლობანას თამაშში” ხარჯავდით დროსო. მეტი ცინიზმი გაგიგათ?”

\* \* \*

უკანონო შემოსავალი და გადასახადისათვის თავის არიდება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ისჯება. თუ ეს ქონება

ნაშოვნია ხალხის მასობრივი გაღატაკების ხარჯზე, ასეთი დანაშაული, მისი ლოგიკური შედეგებით, გენოციდად ფასდება. დღეს ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ესა თუ ის ქონება დივიდენდების სახით მიიღეს, რის დადგენასაც დიდი ჭკუა-გონება კი არა, ხელი-სუფლების ნება სჭირდება.

რეალური გამოსავალი გახლავთ ის, რომ “პრიხვატიზაციით” შეძენილი ქონება შეფასდეს დღეისათვის მოქმედი საბაზრო ფასებით და მასზე დაწესდეს ქონების გადასახადი; გადაიხადონ ყოველთვიურად ათეულათასობით ლარი გადასახადების სახით და მერე რამდენიც უნდა ამტკიცონ, რომ ეს ქონება სიდედრ-სიმარის ნაჩუქარია.

ხაზს ვუსვამ, რომ ეს პრიბლება ეკონომიკური ხერხებით უნდა გადაწყდეს. ქონების ჩამორთმევა თვითმიზანი არ უნდა იყოს. უკანონო ქონება მაღალი გადასახადებით უნდა დაიბეგროს და თანხა ასე მოხვდეს ბიუჯეტში. სხვაგვარად, ხალხი ამ ქონებას ვერ დაიბრუნებს, ჩამორთმეული ქონება კვლავ უკანონიდ მოხვდება სხვების ხელში, რითაც საზოგადოება კიდევ ერთხელ დარჩება გაწილებული.

\* \* \*

ცხოვრების უკუღმართი წესისა და მასზე მარჯვედ მორგებული ჩვენი მენტალიტეტის გამო, ყირამალა დავაყენეთ საზოგადოების განვითარების კანონები და ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება, რომელმაც შექმნა წინაპირობა, რომ უცხოეთის „უანგარო დახმარებებით“, დღევანდელი საქართველო მთელი შსოფლიოს მათხოვარ სახელმწიფოთა ავანგარდში ჩამდგარიყო.

დიახ, დიახ, ჩვენმა „კეთილისმსურველმა“ გადამთიელებმა, საფუძვლიანად გააანალიზეს ჩვენი მენტალიტეტი, მთავრობაში მყოფი ზოგიერთი ჩინოვნიკის დახმარებით, პოხიერი ნიადაგი აღმოაჩინეს თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად და მათივე ხელშეწყობით დაიწყეს „დახმარების“ სხვადასხვა ფორმის გამოყენება ყოველგვარი ქართულის დასასამარებლად.

\* \* \*

ვაჭრობის ორგანიზაციის ელემენტარული მოთხოვნების იგნორირების გამო, თბილისის ცალკეული უბნები არაორგანიზებულ ბაზრებად გადაიქცა, მათში უგულვებელყოფილია სახანძრო და სანიტარული უსაფრთხოების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული წესები და ნორმები. ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ყველაზე რეალური სეგმენტი მხოლოდ ვიღაც-ვიღაცების პირად კეთილდღეობას ემსახურება, რისთვისაც პასუხისმგებლობა დედაქალაქის ხელისუფლებასა და მის შესაბამის სტრუქტურებს ეკისრებათ.

### რატომ?

იმიტომ, რომ ამ მიმართულებით დედაქალაში მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ამის მთავარი მიზეზი, ჩემი ღრმა რწმენით, ამღვრეულ წყალში თვეზის იოლად დაჭერის პრინციპით ცხოვრებაა.

რომ არა ზემოთ აღნიშნული მთავარი მიზეზის გავლენა, რითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენს მიერ მომზადებული მრავალი კონკრეტული წინადადება, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა. უფრო მეტიც, ქალაქის მთავრობის სხდომაზე, “არასათანადოდ მომზადების” მოტივით, საკითხი განხილვიდან რამდენჯერმე მოისხნა. სამაგიეროდ, ამ პროცესის “მართვის” ფორმებისა და მეთოდების დახვეწა და პირადი შემოსავლების გაზრდის გზების ძიება დღესაც გრძელდება.

კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ თითქოს ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებიდან მინიმალურ დონეზეც კი არ ხდება გადასახადების აკრეფა და რომ ამის გამოა ქვეყნის ბიუჯეტი კატასტროფულ მდგომარეობაში.

სინამდვილეში, არ არსებობს არათუ ობიექტი, არამედ ერთი ხელზე მოვაჭრეც კი, რომელიც სრულად და პუნქტუალურად არ იხდიდეს ყველა შეწერილ გადასახადს, მაგრამ პრობლემა ის გახ-

ლავთ, რომ აკრეფილი თანხა ქვეყნის ბიუჯეტის ნაცვლად, ცალკეულ პიროვნებათა ოჯახების ბიუჯეტს ავსებს.

პრობლემის მოუგვარებლობის მთავარ მოტივაციად, ყველა დონეზე ლტოლვილებით სპეცულირებაა. ეს კი ძალზე უხერხულად მეჩვენება. უფრო მეტიც, უზნეობად მიმაჩნია, აკეთო შენი პირადი საქმე და წინ ფარად ლტოლვილები დაიყენო, მით უმეტეს, რომ რეალურად ყოველი ათი გარე მოვაჭრიდან ლტოლვილი საშუალოდ მხოლოდ ერთია. ასე რომ, ამ პრობლემის მოგვარება, ლტოლვილთა ყველა ინტერესის გათვალისწინებით, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

2002 წელი

\* \* \*

ჯერ კიდევ 1999 წლის 23 თებერვალს, „სახალხო გაზეთის“ მეშვეობით, ქვეყანაში საგადასახადო სისტემის სრულყოფის თაობაზე, ღია წერილით მივმართე ქვეყნის პრეზიდენტს და ფარდა ავხადე ხელისუფლების უმოქმედობას საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, დღემდე, არც ერთი მათგანისგან სათანადო რეაგირება არ მომხდარა.

ისმის კითხვა, რატომ არ აწყობს პრეზიდენტის გუნდის წევრებს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდა, ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გარეშე? რატომ არ აწყობთ მათ უმრავლესობას კორუფციასთან ბრძოლა და ხელოვნურად ჩახლართულ საგადასახადო კოდექსში სიცხადის შეტანა? პასუხი ნათელია – მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უფრო იოლია.

1992-1993 წლებში თბილისსა და ქუთაისში ჩემი, როგორც მაშინდელი მთავრობის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის ინიციატივით, ჩავატარეთ ექსპერიმენტი ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში ფიქსირებული გადასახადის შემოღების თაობაზე. შედეგები მოსალოდნელზე უფრო შთამბეჭდავი მივიღეთ, მაგრამ სათანადო ორგანოებმა და უგრეთ წოდებულმა “რეფორმატორებმა”

იგრძნეს რა, რომ სავაჭრო ობიექტები ზელიდან ეცლებოდათ, ექ-სპერიმენტი “დამარხეს”.

ვერ ვნახე ვერავინ, ვერც პარლამენტარი, ვერც მთავრობის წევრი, ვერც სახელმწიფო მოხელე, ვინც დამარწუნებს, რომ არა ვარ სწორი. ყველა მეთანხმება, ყველა აკეთებს დადებით დასკვ-ნას, მაგრამ საქმე წინ არ მიღის, რატომ?

2000 წელი

\* \* \*

ეს მტაცებლები ვერ აღიქვამენ თავიანთი დანაშაულის სიმბი-მეს. იქნებ ამიტომ არ ერიდებიან იმასაც კი, რომ საკუთარი შვი-ლების თვალწინ სასახლები და უძრავ-მოძრავი ქონება სხვების სახელზე გააფორმონ, ყოველგვარ სიყალბეზე წავიდნენ, ეს ხალ-ხი მართლა არაფერზე ფიქრობს... იციან, რომ მათი მონაგარიც მა-თი გზით წაგა და საამისოდ აქდანვე ამზადებენ ნიადაგს, სიბე-რეში უზრუნველი ცხოვრებისა და სხვების ხარჯზე განცხომის-თვის. წარმოიდგინეთ, ზოგიერთი იმასაც კი კადრულობს, რომ რა-დაც „შელავათების“, ვითომდა „კანონიერ“ გზას ეძებს, რომ საკუ-თარ საუნებში, საცურაო აუზებსა და შადრევნებში დახარჯული წყლისა და ელექტრონერგიის საფასურიც არ გადაიხადოს სრუ-ლად, თითქოს ლტოლვილი, მარტოხელა ან ომის ვეტერანი იყოს.

ეს ხალხი ყველაფერზე მიდის, ძალიან საშიში ხალხია! ესენი ლაპარაკობენ ბიზნესზე? ბიზნესი პატიოსანი საქმეა და არა ვიგინ-დარების ასპარეზი. საქართველოში კი ჯერ კიდევ არ არის პატი-ოსანი ბიზნესის გარემო. ასე რომ, უკეთესს არ უნდა ველიდოთ...

სწორედ დღევანდელ ვითარებაზე აქვს ნათქვამი ცხონებულ ანა-ტოლი სობჩაქს: „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის დამახასიათებელია ის, რომ პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები კი – პოლიტიკურ საქმიანობას“.

2003 წელი

\* \* \*

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ, რომ ჩვენი პროექტის რეალიზაციას ხელს უშლიდა და უშლის ხელისუფლების უძალლესი ეშელონების ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ ამღვრეულ წყალში თევზის იოლად დაჭერის ინტერესები. ხმამაღლა ნათქვამია არა? თუ ასე არ არის, მაშ რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბოლო 12-13 წლის განმავლობაში, ქვეყნის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის პერსონალური დავალებების მიუხედავად, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა, გნებავთ, მათმა მოადგილეებმა, რამდენიმე წუთითაც ვერ მოიცალეს ჩემთან შესახვედრად, რათა დეტალურად განვეხილა ჩემეული პროექტის ძირითადი ასპექტები. როგორც ჩანს, მათ ჩემთან პირისპირ შეხვედრა არ გარისკეს იმ მოტივით, რომ პროფესიონალთან პაექრობისას თავი უხერხულობაში არ ჩაეგდოთ.

2004 წელი

# არჩევნები, ო, ეს არჩევნები

\* \* \*

„პარლამენტის წევრები არ უნდა იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, ფულით გაზუღუქებული პიროვნებები, ვისაც ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარებული აქვს და ახლა კარიერისა და დეპუტატის იმუნიტეტისათვის იძრძვიან. არ შეგაცდინოთ მათმა „ფოჩიანმა კანფეტებმა“.

\* \* \*

„პარლამენტის წევრების შერჩევის კრიტერიუმი პირადი ერთგულება და მატერიალური მდგომარეობა კი არ უნდა იყოს, არა-მედ ის, თუ ქვეყნის სასიკეთოდ, რის გაკეთებას შეძლებს მომავალი პარლამენტარი.

თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება შეიცვალოს და იქ მოხვდნენ განსწავლული და კანონპროექტებზე მომუშავე მაღალი დონის სპეციალისტები, მაშინ პარლამენტარებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი”.

\* \* \*

„აქვთომაა, რომ ყველა ადამიანს აქვს პროფესიული განვითარების ზღვარი. აქედან გამომდინარე, ჩვენმა მომავალმა პარლამენტარებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების ზღვარი და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრონ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი კანდიდატურების წამოყენებაზე.

ამასვე მოითხოვდა ბატონი ჯანსულ ღვინჯილია ამომრჩევლებისგან, როცა ამბობდა: „მოვიპოვოთ და წინ დავიდოთ პარლამენტის წევრთა სია, სათითაოდ შევისწავლოთ – ვინ რას წარმოადგენს, რა წარსული, რა აწყო, რა უნარი აქვს, როგორი ოჯახის პატრონია, სად შეცდა, რაში იყო მართალი, რომ ამ ძველი შემადგენლობიდან უღირსები კვლავაც არ მოხვდნენ პარლამენტში“.

მომავალმა პარლამენტარებმა კი, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაიაზრონ ის, რომ შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო, ქართველი გლეხი მასობრივად ტოვებს სოფელს და ლუკმა-პურს ისედაც გაღატაკებულ ქალაქში დაეძებს, რის გამოც ქვეყნის დოვლათის შექმნელი, მომხმარებლად ვაქციეთ. ანალოგიური მდგომარეობაა ქალაქში. კვალიფიციური ქართველი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა. ეს იმის შედეგია, რომ რეალურ ფასად შექმნილი მათი პროდუქცია, ბაზრიდან განდევნა დემპინგურმა, ანუ ჩვენს დასახოქებლად ხელოვნურად ჩამოყალიბებულმა საბაჟო პოლიტიკამ. მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში ეს პროცესები ეკონომიკური ბერკეტებით რეგულირდება. ჩვენთან კი პირიქით ხდება – ამ ბერკეტების არასწორად გამოყენებამ ჩვენს ქვეყანაში წარმოება მოშალა და დაანგრია.

\* \* \*

მთავარი რჩევა ამომრჩევლებს:

მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ მხოლოდ უანგარო, პროფესიონალ ეკონომისტებს, იურისტებსა და პოლიტოლოგებს, რომელთა დეპუტატად არჩევა გახდება მტკიცე გარანტი იმისა, რომ ახალმა პარლამენტმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საქართველოში რეალურად ააღორძინებს მრეწველობას, მასობრივად დაასაქმებს ასიათასობით უმუშევარს და შექმნის მოსახლეობის საშუალო ფენას, ე.ი. გადაარჩენს საქართველოს.

2003 წელი

\* \* \*

არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა მყისიერად დასვას კითხვა: რა შეაშია ცენტრალური საარჩევნო კომისია ან ბიუჯეტის თანხების პროპორციულად გამოყენებაო. მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა, იმდენს დავხარჯავო. ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთი იქნება: შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა და დეპუტატობა ფულზე ან “ფოჩიან კანფეტზე” აღარ გაიყიდება. გახდი ბატონი პრეზიდენტი, გინდ დეპუტატი და მერე როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება, მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, ქველმოქმედი ხარ, თუ ფულიანი მოძალადე.

2008 წელი

\* \* \*

წინასაარჩევნო პერიოდში, ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხდავად, აეკრძალებათ ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა. ანალოგიური მიდგომაა აუცილებელი პირადი „დანაზოგების“ გამოყენებისას დარწმუნებული გახლავართ, თითქმის ხუთი წლის წინათ, ჩვენს მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრება-

ზე სათანადო რეაგირება რომ მოეხდინათ, ჩვენს ე.წ. პოლიტიკოსებს, დღეს სულ სხვა სიტუაციასთან ექნებოდათ საქმე.

2012 წელი

\* \* \*

პატივცემულო მკითხველო, ამ წერილის კონკრეტული აღრესატების ნერვების მომშლელი ხშირი გამორჩებით თავი რომ არ მოგაბეჭროთ, თქვენი ნებართვით, ქვემოთ, მათ მხოლოდ ერთი სიტყვით — „ყოფილებად“ მოვიხსენიებ.

თქვენ, ანუ „ყოფილებს“ თავის დროზე რომ მიგექციათ ყურადღება, „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 131-ე „საამაყო“ ადგილზე არ აღმოჩნდებოდა ქერძო საკუთრების დაცვის რეიტინგით; 141-ეზე — ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობით; 128-ეზე — სოფლის მეურნეობაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხის მოცულობით; 131-ეზე — ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობით; 126-ეზე — ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით; 101-ეზე — პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობით; 95-ეზე — სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით; 114-ეზე განათლების სისტემის ხარისხით; 115-ეზე — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიანობით; 95-ეზე — საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობით.

„ყოფილებო“, ყოველივე ამის შემყურეთ, კიდევ გაქვთ მიღწეული შედეგებით ტრაბახის ან თავის მოწონების და სხვებისთვის ჭკუის დარიგების უფლება?

ბოლოს ერთი რჩევა „ყოფილებს“ — ისხედით მაგ თქვენს სამარცვინო სავარძლებში და ხელს ნუ შეუშლით ქართული საქმეების საკეთებლად მისულ ახალ ხელისუფლებას.

\* \* \*

ამ დღეებში გავრცელებული სამწუხარო, მაგრამ რეალური ინფორმაციით, თბილისი, საქალაქო მეურნეობის მოწყობის მთავარი მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოს 221 დედაქალაქს შორის სავალალო და სამარცხვინო 213-ე ადგილზე აღმოჩნდა. თუ ამ მაჩვენებლის რეალობაში ეჭვი გეპარებათ, არ დაგზარდებით და თქვენთან ერთად გავიაროთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს, თბილისის ომელ უბანშიც გნებავთ და დარწმუნდებით, რომ ყოველივე ეს სამწუხარო რეალობაა. ასეთ პირობებში, ამაზრზენია დედაქალაქის მერიის ერთ-ერთი მაღალინიონის უტიფარი განცხადება, რომ, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, თბილისი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების პირველ სამეცნიერო შედისო. ანალოგიური ბრახაბრუხი ყველაზე მეტი სიმწვავით, გვარს არ დავასახელებ და ჩვენი „კოლმეურნეობის თავმჯდომარებ“ მაშინ იყალრა, როცა ბათუმი, შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, ყველაზე თბილ, ნაკლებ ნალექიან და ხანგრძლივი საკურორტო სეზონის ქალაქად გამოაცხადა.

\* \* \*

ახალი ხელისუფლება, რომელიც ხმაურიანი და ამბიციური დაპირებებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, თანდათან სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაოდ ღიღ ნაწილში, კვლავ გაჩნდა ნიპილისტური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ან ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამათგან ყველაზე აქტუალურია დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გაწელვა, ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი უძრავი დანაშაულისთვის საკაშვილის ხელისუფლების ლიდერების დაუსჯელობა. ამის გამო საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი უკმაყოფილებას ვეღარც კი მაღავს.

\* \* \*

რეალურად საქმე გვაქვს უზარმაზარ სახელმწიფო აპარატთან, რომელიც ისეა დაავადებული, რომ მის განკურნებას სერიოზული სისტემური „მკურნალობა“ სჭირდება.

ახალი ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობაში იმდენ კონკრეტულ ნაკლოვანებებს ვაწყდებით, რომ მათი ჩამოთვლა, ალბათ, შეუძლებელია.

\* \* \*

დასავლეთი დაინტერესებულია დაიცვას თავისი პროექტი და „დემოკრატის შექურას“, როგორმე, ოქტომბრამდე ცოცხალ-მკვდარს მაინც მიატანინოს თავი; ჩვენი „პეთილგანწყობილი“ უახლოესი მეზობლები აუცილებლად უნდა გრძნობდნენ ჩვენდამი დასავლეთის მხარდაჭერას, რათა შეასუსტონ, გააფერმერთალონ თავიანთი საოცნებო ზრახვები საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რასაც, ერთი სიტყვით, „ტერიტორია“ ჰქვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას, თავისი ისტორიის მანძილზე, ბევრი სიძნელე გადაუტანია და მრავალთა ჯინაზე, ოქტომბრამდეც შშვიდობიანად უნდა მივიდეთ.

\* \* \*

2011 წლის 4 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაჭვენე ვრცელი ინტერვიუ სათაურით – „...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა, როგორც ერი!“, რომელშიც საუბარი იყო პარლამენტში მოსახვედრად პარტიულ სიებში გამსვლელი ადგილისათვის ქრთამის გადახდის დამკვიდრებულ წესზე; ე.წ. გრანტიჭამია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც გამოყოფილ თანხებს ქვეყნის დასაქცევად შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად იყენებენ „ახალგაზ-

რდა ნაციონალების“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების“, „ახალგაზრდა ეროვნული დემოკრატების“ და სხვა „ინსტიტუტების“ საქმიანობაზე; კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე იმ ვარაუდით, რომ მომავალში საერთოდ უარი ვთქვათ ეწ. პროპორციული არჩევნების მოქმედ სისტემაზე და ა.შ.

მივესალმები, თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე, რასაც, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიამოვნებით დაუჭრს მხარს.

ვფიქრობ, რომ შემოთავაზებული წინადადების რეალიზაცია ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ჩვენგანს და, საერთოდ, ქვეყანას. ამ თემის ირგვლივ აჟიოტაჟის ატეხვის შემთხვევაში, მზად ვარ, თანაბარ პირობებში, ნებისმიერი ფორმატით მივიღო მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში. ღმერთმა ქნას, რომ გამოჩნდეს ქვეყნისთვის უფრო მისაღები და სასარგებლო გზა!

\* \* \*

ბატონ ბიძინა ივანიშვილს უკვე მხოლოდ ორი ფაქტორით აქვს გარანტირებული ქვეყნის ისტორიაში შესვლა. მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი პიროვნებები, რომლებმაც საკუთარი ქონება ასე უშურველად და უხმაუროდ მოახმარეს თავიანთ ქვეყანას. ეს ერთი. მისი მეორე და, ალბათ, არანაკლები მნიშვნელობის დამსახურება გახლავთ ის, რომ **მან საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჩაატარა ურთულესი უსისხლო ოპერაცია და ქვეყნა იხსნა ბოლო სტადიის ავთვისებიანი სიმსივნისგან**.

მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, აქა-იქ მანც შეიმჩნევა „ქართული ოცნებისადმი“ ნიკილისტური დამოკიდებულება, მაგრამ ღრმად მწამს, რომ მისი ლიდერის მიერ საკადრო პოლიტიკის დახვეწისა და მო-

სახლეობასთან პირადი კონტაქტების გაუმჯობესების კვალობაზე, ყველა ჩვენგანის თავდადების შემთხვევაში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დააყენებს სწორ, თითოეული ჩვენგანისთვის სანატრელ გზაზე.

\* \* \*

ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ გარკვეულ სპეციალისტებს, და, მათ შორის, დემოგრაფებს დავუკერებთ, XXII საუკუნეში აღარც ქართველები ვიქნებით ამ პლანეტაზე და აღარც საქართველო შემორჩება მსოფლიო რუკაზე. რა თქმა უნდა, ამ ვერსის არ მჯერა, მაგრამ ყველა უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს ქართული საქმეების კეთებაში.

აბსოლუტურად გადაწყვეტად საკითხად (პრობლემას შეეგნებულად არ ვუწოდებ) მესახება ის, რომ მსოფლიო რუკაზე, რა ენაზეც არ უნდა იყოს ის შედგენილი, საქართველოსთან მიმართებაში დამკვიდრდეს ერთადერთი საკუთარი სახელი – საქართველო.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობას, ყველა ენაზე ერთი, ანუ თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. საქართველო კი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა, ამ თვალსაზრისითაც იშვიათი გამონაკლისია, რადგან ჩვენს ქვეყანას ყველამ თავისთვის მოსახერხებელი სახელი დაარქვა.

დადგა დრო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“!

„საქართველოს“, „ქართულის“, „ქართველის“ გადარჩენის სხვა უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა ირგვლივ, საბედნიეროდ, ბევრ ქართველ მოღვაწეს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრებები და კონკრეტული წინადადებები. გვჯერა, რომ დღევანდელი ხელი-სუფლების მოქმედი და მომავალში ამ მიზნით შესაქმნელი სტრუქ-

ტურები უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ საგანძურს და ყოველ ღონეს იხმარენ ზემოთ აღნიშნული სამი ფუნდამენტური ცნების გადასარჩენად.

2013 წელი

\* \* \*

ცნობილი ჟურნალისტის თემურ ქორიძის მოსაზრებით „პოლიტიკოსები, ძირითადად უპროფესიონალი ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონიერივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყვდებიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია მაღაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაფონით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“. ყველასათვის ნაცნობ ეწ. პოლიტიკოსებს, რომლებმაც თავი მოგვაბეზრეს, აღარაფერი ეშველებათ ე.ი. მათი საქმე წასულია, მაგრამ რას ვერჩით ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობებს, რომლებიც იმიტომ მეცოდებიან, რომ, ნებსით თუ უნებლივეთ, ირქმევენ – „ახალგაზრდა ნაციონალებს“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებს“ და ა.შ. სამაგიეროდ, სულ სხვა საქმეა ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ურთულესი გზით სიარული ანუ ახალგაზრდა იურისტების, ეკონომისტების, ფინანსისტების, ფიზიკოსების და ა.შ. მანტიის მოსხმა და ამ საქმეში დროის ხარჯვა, რაც ჩვენს ქვეყანას დადებითად წაადგება. სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ყბადაღებული ტერმინი „პოლიტიკოსი“ ძალიან მაღიზიანებს. ერთი საათის განამვლობაში დაარეგისტრირე ნებისმიერი პარტია, სიტყვა დემოკრატია გაურიე თავში, შუაში ან ბოლოში და იძახე მერე რამდენიც გინდა, პოლიტიკოსი ვარო.

არ შეიძლება კი არა, დანაშაულია ენდო ისეთ ეწ. პოლიტი-

კოსს, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვები-სათვის ქრთამი გადაიხადა. დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამა ეწ. პოლიტიკურ პარტიას. ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ შენი ქვეყნის სასიკეთოდ ან ლამაზი თვალები-სათვის არავინ არანაირ გრანტს არ არიგებს.

2012 წელი

\* \* \*

ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, როგორც წესი, ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი აზრი ეჩვენება. ამიტომ, იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიგრძე-სი-განით აცნობიერებენ „უკვდავ ფრთიან ფრაზას – „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ (სოკრატე). ასეთ გენიოსობას ბევრს ვერც მოვთხოვ, მაგრამ საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, მაღალი და და-ბალი, ჭკვიანი და უჭკუო, ერთს შვილი და მაღლის შვილი და ა.შ.

\* \* \*

სასაცილოდ მეჩვენება, როცა პროფესიადაკარგულ ადამიანთა უმრავლესობას, რადგან ისინი ნაციონალური პარტიის წევრები, ანუ ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები არიან, თავიანთი თავი პროფესიონალ პოლიტიკოსებად მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ყვე-ლა მნიშვნელოვან საკითხზე აზრის გამოთქმისას, უფრო სწორად, ხალხის დაბოლებისას, ერთი და იგივე ეგრეთ წოდებული პოლი-ტიკოსები და „ექსპერტები“ გვეჩირებიან თვალსა და ყურში ტე-ლევიზიებსა და პრესაში. ნუთუ ამ რამდენიმე ათეულ კაცს მარ-თლა სჯერა, რომ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს თა-

ვისი მოსაზრება არა აქვს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამა თუ იმ პრობლემაზე? აქვთ, როგორ არა აქვთ, წიგნებსაც გა-მოსცემენ, სტატიებსაც აქვეყნებენ თავიანთ წრეებში ყოველგვარი ხმაურის გარეშე, კომპეტენტურ აზრსაც გამოთქამენ და, სამწუ-ხაროდ, ყველაფერი ამით მთავრდება.

\* \* \*

ნაციონალებს თუ დასცალდათ, მალე 21 წლის გოგო-ბიჭები გვეყოლებიან პარლამენტში, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ქვეყ-ნის ბედ-იღბალი!!! ბოდიშს მოვიხდი ჩემი ქვეყნის ღირსეული მო-მავალი თაობის წინაშე, მაგრამ პარლამენტის მიერ პრობლემისად-მი ამგვარ დამოკიდებულებას, უპასუხისმგებლობის გარდა, სხვა სიტყვა ვერ გამოვუძებნე.

\* \* \*

ძალიან მაინტერესებს, როგორ ამართლებენ თავიანთ ქმედებას თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრების ან უახლოესი მეგობრების წინაშე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი, რეგიონალური აქტივისტები, როცა ამა თუ იმ ქალაქში, რაიონში, სოფელში ჩა-სულ თავიანთ მამა-მარჩენალს სახელდახელო კონცერტებს, შოუ-ებს უწყობენ და მოსახლეობას აბლავლებენ „შენ გენაცვალე“, „შე-ნი ჭირიმე“ და ა.შ.

2013 წელი

\* \* \*

არჩევნების მოქმედი სისტემით, მისდამი ხელისუფლებისა და ხალხის დამოკიდებულებით ჩვენ „ევროპელები“ კი არა, სადღაც ჯურლმულში ჩარჩენილი ხალხი, ქვეყანა ვართ. დღეს ბევრ თავმოყვარე ქართველს სამარცხვინოდ მიაჩნია ისეთი

ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც არჩევნების გაყალბება და მასზე საუბარი ჩვეულებრივი მოვლენაა; სადაც წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს რაც მოუნდებათ იმას პირდებიან, მისი შეუსრულებლობისთვის კი არავის წინაშე პასუხს არ აგებენ; სადაც ამომრჩეველს, გადმობირების მიზნით, მათხოვოულ ქრთამს ურიგებენ და უაზრო ტყუილებით აბოლებენ; სადაც ადამიანს, უპირველესს და, ალბათ, ერთადერთს — არჩევანის უფლებას ართმევენ და მის ხმას თავისი შეხედულებისა და სურვილის მიხედვით ისე იყენებენ, როგორც აწყობთ; სადაც ჯერ კიდევ არ ესმით, რომ ამ დღეში ყოფნა, ჩვენივე ბრალია; სადაც არ აცნობიერებენ, რომ არჩევნებისადმი დღევანდელი მიღვომის შენარჩუნების პირობებში, საქართველო უფსკრულ-ში გადაიჩება და 21 წლის პარლამენტარები ვეღარ უშველიან; სადაც არ სჯერათ, რომ ყველა უბედურება, რაც შეიძლება თავს დაგვატყდეს, ჩვენივე, ანუ ხალხის ბრალია, რომელშიც ლომის წილი ე.წ. არჩევნების ჩამტარებლებზე მოდის; სადაც არ აცნობიერებენ, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა!

\* \* \*

სამწუხაროდ, საქართველოში არავითარი აზრი არა აქვს რეალურად დაფიქსირებულ შედეგებს, რადგან, დიდი ალბათობით, ხმების გამყალბებლები მაინც თავიანთი სასურველი შედეგის გამოცხადებას ახერხებენ.

ასეთ პირობებში ბუნებრივად დაისმება კითხვა, — რა ქნას ამომრჩეველმა, წავიდეს თუ არა არჩევნებზე? პასუხი ნათელი და ერთმნიშვნელოვანია: თუ ქვეყნის მომავალზე გული შეგვტკივა, არჩევნებში ვისაც უფლება გვაქვს, ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა!

\* \* \*

არჩევნებისადმი ხელისუფლების დღევანდელი დამოკიდებულების პირობებში, წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენის“ მიზნით, მიგვაჩნია უაზრობად, რადგან ის, როგორც წესი, ტარდება რომელიდაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისაკენ.

2012 წელი

\* \* \*

პოლიტიკური ასპარეზიდან, ანუ ქვეყნის მართვის სადაცემიდან ე.წ. პოლიტიკოსთა ჩანაცვლების ჩვენეულ ვარიანტს ბევრი არარეალურად ჩაგვითვლის, მაგრამ ამ უკურნებელი სენისგან გათავისუფლების სხვა გზა აღარ ჩანს. წამლებით მჯურნალობა დაგვიანებულია და „ავადმყოფს“ ველარ ვუშველით. საჭიროა რადიკალური ქირურგიული ჩარევა, რაც სარისკოა, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი.

\* \* \*

„ნაციონალები გაიწაფნენ საერთაშორისო საფინანსო დახმარებების მოზიდვაში და იგი აქციეს როგორც სახელმწიფო, ისე თავიანთი ოჯახების ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროდ. ფულით ფულის შოვნა ხელობად გაიხადეს და თავს ამით იწონებენ. სამაგიეროდ, თავიანთი გაუმაძლრობის გამო ჩვენი შვილები და შვილიშვილები დარიბ-დატაკებად აქციეს. მათ კი, თავიანთი ცხოვრებისეული აუცილებელი ხარჯების დასაფარად მამა-პაპის მიერ რის ვაი-ვაგლახით შეძნილი კუთვნილი საცხოვრებელი სახლ-კარი და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება ბანკებში დააგირავეს და აღებული სესხებით გადაიხადეს ქორწილები; შეიძინეს უცხოეთში ჯართად

ქცეული ავტომანქანები; დამარხეს თავიანთი მიცვალებულები; ცი-  
ხებიდან დაიხსნეს ოჯახის წევრები; დააფინანსეს შვილების ჯან-  
მრთელობისა და განათლების ხარჯები; რიგები დააყენეს მეორადი  
ტანსაცმლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ჰუმანიტა-  
რული დახმარების გზით ქვეყანაში შემოსული, ხშირად ვადაგა-  
სული კვების პროდუქტების შოვნა-შეძენაზე.

ამ სიტუაციების შექმნელი ჩვენი ე.წ. ხელისუფლება ადრე თუ  
გვიან უეჭველად შეიცვლება და მათ ნაცვლად მოსულები, ცხა-  
დია, ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოიხსნიან ამ მიზეზებით გა-  
ღატაკებული ქართული ოჯახების მიმართ. მიუხედავად ამისა, თუ  
ეს ახლები ნაღდი ქართველები იქნებიან ამ სიტყვის ყველაზე  
ფართო გაგებით და თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ქვეყნის ნე-  
ბისმიერი რესურსის (მათ შორის განსაკუთრებით სასმელი  
წყლის) ეფექტურად და სახელმწიფოებრივად გამოყენების მიმარ-  
თულებით და მიაღწევენ უცხოელებზე მიყიდული წიაღისეულის  
საბაზოების, ტყეებისა და მიწების ნაციონალიზაციას, საქართვე-  
ლო მხოლოდ მაშინ გადარჩება”.

2013 წელი

# ქაუკი მოდიან და მრავლებიან

\* \* \*

ბოლოს და ბოლოს გვაინტერესებს კვლიფიციური პასუხი შემ-  
ღებ კითხვებზე:

— ვინ, როდის და რა საშუალებით უნდა გადაიხადოს კრედი-  
ტების სახით აღებული უზარმაზარი ვალები, რომელთა გამო შო-  
რეულ პერსპექტივაშიც კი მსოფლიოს რუკაზე საქართველო არა-  
საიმედო პარტნიორ ქვეყნად დარჩება?

— ვინ და რატომ აიღო ეს ვალები და რას მოხმარდა ისინი?  
პეტრეს მიერ აღებული და შინ წაღებული ვალი პავლეს შთამო-  
მავლობამ რატომ უნდა გადაიხადოს?

— რას ვუპირებთ ენას, მამულს, სარწმუნოებას? რა პასუხს  
გაცემთ შთამომავლობას ქართული ენის აგრერიგად დაკნინები-  
სათვის? მამულის დიდი ნაწილის უცხო ტომებისათვის უბრძოლ-  
ველად ჩაბარებისთვის? არათანაბარ-უშედავათო ბრძოლაში ქარ-  
თული ეკლესის ბედისანაბარად მიტოვებისათვის?

— რატომ ჭიანურდება ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის  
ჩამოყალიბება?

— როდის შეიქმნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონ-  
ცენტრია, ანუ როდის გვეცოდინება, რის აშენებას ვაპირებთ და სა-  
ით და რა გზით მივდივართ (თუ მივექანებთ)?

— ვის ან რას ემსახურება ჩასახვის საწინააღმდეგო ამდენი საკ-  
მაოდ ძვირადღირებული რეკლამა უფასო სამედიცინო კონსულტა-  
ციებისა და პრეპარატების თაობაზე? არ დაგვავიწყდეს, რომ უფა-  
სოს მცნება და საბაზრო ეკონომიკა ურთიერთშეუთავსებელნი არი-  
ან!

— აქსიომაა, რომ ზღვარგადასული ეროტიკული ფილმებისა და სხვა უამრავ უზნეობათა ამდენი აგიტაცია-პროპაგანდა ემსახურება სქესობრივად ჯანმრთელი გოგო-ბიჭების პოტენციალის გადავარებას. რას ისახავს მიზნად არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის ტიპების ასეთი დონით პოპულარიზაცია და ამდენი უგემოვნო, ამაზრზენი რეკლამა?

2001 წელი

\* \* \*

ქაჯები მოდიანო, რამდენიმე წლის წინათ გაგვაფრთხილა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა. გამართლდა მისი წინათგრძნობა, ქაჯები მოვიდნენ და, რაც ძალზე საკალალოა, გამრავლდნენ კიდუც!

ქაჯობის გამოხატულების ერთ-ერთ მთავარ ქმედებად მიმაჩნია ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის დაბოლება მრავალ საკითხში. სხვა რა შეიძლება დავარქვათ ისეთ აბსურდებს, როგორებიცაა: „ბათუმი ყველაზე ნაკლებნალექიანი ქალაქია შავი ზღვის აკვატორიაში“, „ბათუმის პლაჟი გაცილებით უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე ნიცის, კანის, მონტე-კარლოსი, ბარსელონას და ა.შ“, „სამ ოთხ წელიწადში ავაშენებთ ქალაქ ლაზიკას, სადაც ნახევარი მილიონი მოსახლე იქნება“ და მრავალი სხვა. ბუნებრივია, ასეთი უგუნურობები კომენტარს არ საჭიროებს.

\* \* \*

ხელისუფლება ქაჯური უტიფრობით გვიმტკიცებს, რომ საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივითა და საიმდობით. ასეთ პირობებში რა ღმერთი გაუწყრათ უცხოელ ინვესტორებს, რომ თუნდაც თბილისის ცენტრში მუქთად შეძენილი მიწის ნაკვეთებისა და შენობების პირობებში აბსოლუტურად ყველა დაწყებული სასტუმროს მშენებლობა დაკონსერვებული რომ არის?

\* \* \*

ქაჯობის დამადასტურებელ ფაქტებს რა გამოლევს, მაგრამ, იმედია, შემოდგომაზე, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოსახლეობის უკიდეგანო დაბოლება და აბუჩად აგლება შეწყდება, მაგრამ თავად ჩვენი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის ქაჯობას, აღბათ, კარგა ხანს არაფერი ეშველება. სამწუხაროდ, დიდი მტკიცება არ უნდა, რომ ამ მიმართებით, ქაჯობის გამოვლინების ხარისხი წლიდანწლამდე მატულობს. არადა, საკითხავი და დასაფიქრებელი ის არის, რომ თუნდაც ჩემს მახსოვრობაში, ანუ დაახლოებით 50 წლის წინათ, სულ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით. მარტო იმის გახსენება რად ღირს, როგორი დამოკიდებულება და მოწირება არსებობდა უმცროს-უფროსს შორის, მოსაწავლესა და მასწავლებელს შორის, სკოლის დირექტორი ხომ ყველა ჩვენგანისათვის უპირველეს საპატივცემულო პიროვნებას წარმოადგენდა. მიზეზები, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა, მრავალფეროვანა, თუმცა ამჯერად ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს და ამიტომ ყველასთან ბოდიშის მოხდით, კვლავ გავაგრძელებ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქაჯებისა და ქაჯობის (ხშირად თავზედობის) ინსტიტუტის ფარდის ახდას.

ჰქვია თუ არა ქაჯობა ისეთ ქცევას, როცა სკოლის მასწავლებელი თავის მოსწავლეს სიგარეტს მოსთხოვს და „მაგარი ტიპის“ სახელის მოსახვეჭად მასთან ერთად გააბოლებს?

ქაჯობად მიმაჩნია საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან ხალხის თავშეყრის ადგილებში (მათ შორის პანაშვიდებზე, გასვენებებში) გამორჩეულად ხმამაღლა საუბარი სხვისთვის უინტერუსო თემებზე.

ქაჯობის მეტი რა შეიძლება დაერქვას იმ შემთხვევას, როცა ჩვილი ბავშვით მგზავრი მანქანაში მძღოლის გვერდით დასკუპდება და თანაც სიგარეტს გააბოლებს. საინტერისოა, როდის შემოვიდა მოდაში ქაჯების მიერ ტაქსში ან საერთოდ მსუბუქ მანქანაში ჩაჯდომისთანავე სიგარეტის მოკიდება, ასეთი ქცევა ცივილურ ქვეყნებში ამსურდად ითვლება, გვახსოვდეს, რომ ჩვენ „ევროპელები ვართ“.

ქაჯობაზე მეტია საოჯახო ნარჩენების, ნაგავის, სიგარეტის ნამწვავის სახლის ფანჯრიდან, აივნიდან გადაგდება ან საღარბაზოში დაყრა.

ქაჯობა არ არის, როცა სკვერებში ან პარკებში, ახალგაზრდები საბალე სკამების საზურგებზე არიან შემოსკუპებულნი, ფეხებით დასაჯდომზე ასულები იქაურობას მიზანმიმართულად რომ ანადგურებენ და ანაგვიანებენ?

ქაჯობის ყველა ნორმას სცილდება, როცა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის მეტყველებაში მასობრივი ხასიათი მიღლო თავიანთი დედების წამდაუწუმ დაგინების ამაზრზენმა გამონათქამებმა და ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ყოველი სიტყვის შემდეგ, აბსოლუტურად უადგილოდ ხმარებამ. ჩვენი თაობა დედას სხვას ვაგინებდით და ისიც ძალზე იშვიათად, ეს მამაკანებულები და დედაარღნიანები, თავიანთ დედებს თავადვე უსწორებენ ანგარიშს. ზემოთ ნათქვამს რა ეწოდება, კაცობრიობას ჯერჯერიბით არ დაუდგენია. დიდად სამწუხაროდ, ყოველწლიურად პრემირებული ჩვენი ზოგიერთი ვაი-მწერალი თავის პაპულარობას სწორედ ამ უარგონების წამდაუწუმ ხმარებით აღწევს, ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

ქაჯების გარდა რა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ „მოქალაქეებს“, რომლებიც ძალიან ხშირად მანქანებიდან ყრიან სიგარეტის ნამწვავს, მის კოლოფს, ბანანის კანს, ნახმარ „შპრიცებს“ და სხვა. საგულისხმოა, რომ ყველაზე გამომწვევად და ხშირად, ამას დაბურულმინებიანი ჯიპის ტიპის მანქანების მძღოლები, თავიანთი მგზავრები ან ეგრეთწოდებული მავანთა დაცვის ბიჭები ჩადიან. სამწუხაროდ, ანალოგიური ქცევისგან ზოგჯერ არც ჩვენი „სანაქებო“ პატრულის ბიჭები არიან უცოდველი.

უფრო დიდი ქაჯობაა, როცა ერთ-ერთი ძალზე პრესტიული და პოპულარული სახელოვნებო სასწავლო აკადემიის რექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, გვარს არ დავასახელებ, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ამბობს: „საღგურის ან ბაზრის, რომელიც გნებავთ, ქართული სიმღერა მირჩევნია ნებისმიერ რუ-

სულ სიმღერასო“... რას იზამთ, კაცია და გუნება, რომ იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა „პოპულარულ-მა“ ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც ყოველ წელს სხვადასხვა პრემიის ლაურეატობას „ირტყამს“, საჟურნალო ინტერვიუში ხმა-მაღლა განაცხადა: „მეზიზღება ქართული ტრადიციები და ქართ-ველი ჩოხოსნებიო“.

2012 წელი

# ၁၁၁ ၏ ၂၀၀၀ ၁၇၈၃

(Գոյացման ամենահզոր)

\* \* \*

პოლიტიკოსებად მონათლულმა ე. წ. სახელმწიფო მოხელეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ დღეისათვის ყველაზე ფაქიზი მოპყრობა სჭირდება აქარასთან, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას. პოლიტიკური სიფრიზე უნდა გამოიჩინონ, რათა ამ რევიონებში, როგორმე, თავიდან ავიცილოთ მეზობელი ქავექნების მხრიდან ექსპანსიის ნებისმიერი ფორმის გამოვლინება. მით უმეტეს, რომ აფხაზებისათვის ქართულ ოჯახებთან დამოყვრება, ღირსეულ ქართველ მოღვაწეებთან მეგობრობა და სხვ. ოდითგანვე იყო და, საბუღნიეროდ, ღღუსაც აღიქმება პრესტიულ მოვლენად.

2007 წელი

\* \* \*

ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ, რომ თქვენ პირადად ბრძანდებით ქვეყანაში მცირე მეწარმეობის მტერი. გახსოვთ, ალბათ, სატელევიზიო კომპანია „იმედის“ არხზე, პირდაპირ გადაცემა რომ მოეწყო მცირე მეწარმეობის პრობლემებზე, ბატონი ჯანრი კაშიას საავტორო პროგრამაში. ჩვენ, მცირე მეწარმეობის ხელშემწყობმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვისარგებლეთ რა თქვენი იქ ყოფნით, მთელი ძალებით შევუტიეთ ხელისუფლებას იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რაც მთავრობას ჰქონდა ჩადენილი მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. ამ გა-

დაცემის შემდეგ, მოკლე ხანში, ეს პროგრამა დაიხურა და ჩვენც დაგვიწყეთ დევნა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ერთმანეთის მიყოლებით ჯერ კანონი გააუქმეთ მცირე მეწარმეობის შესახებ. შემდეგ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი დახურეთ. სამინისტროს დებულებიდან და საგადასახადო კოდექსიდან დეფინიცია „მცირე მეწარმეობა” ააორთქმდეთ. ბოლოს კი მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ლიკვიდაცია მოახდინეთ.

შედეგად ის მივიღეთ, რომ დღეს ქვეყნის მცირე მეწარმეობის საკანონმდებლო ბაზაში სრული განუკითხაობაა. სახელმწიფო მართვის არც ერთ რგოლში ერთი საშტატო ერთეულიც კი აღარ არსებობს, რომელსაც ოფიციალურად ეყალბოდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა. მაშინ, როცა მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის საქმიანობას არ ხელმძღვანელობდეს სპეციალური სამინისტრო, კომიტეტი ან დეპარტამენტი მაინც.

\* \* \*

პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 7 მცირე საწარმო მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში – 40; მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საქართველოში 10%-ს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებში კი მისი დონე 55%-ს აჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, განვითარებულ ქვეყნებში 13 ათასი დოლარია, ხოლო საქართველოში 200-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

\* \* \*

თქვენ ამტკიცებთ, რომ საკვანძო პოსტებზე თქვენი ყოფნის პერიოდში ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ფაქტე-

ბი სულ სხვას ღადადებენ. სინამდვილეში, სამწუხაროდ, ბევრი მაჩვენებლით საქართველო ისეთი ქვეყნების ჩამონათვალს ლიდერობს, როგორებიც არიან ზიმბაბვე, სუდანი, კონგო, ავღანეთი, სომალი და სხვ. საქართველოში უშუმშევრობა და სიღატაგე თვიდან თვემდე იზრდება, მატულობს ადრე მოქმედი და ამჟამად დახურული ობიექტების რაოდენობა, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დაუშუმშავებელია, ხოლო სოფლები – დაცარიელებული. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სახელისუფლებო ორგანოების უმაღლესი რანგის თანამდებობებზე ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში, თქვენ ვერ ან არ შეიმუშავეთ ქვეყნის გადარჩენის ეკონომიკური პროგრამა.

\* \* \*

კატასტროფული მდგომარეობა ჩამოყალიბდა უშუალოდ თქვენი მოქმედებისა და გავლენის კველა სფეროში. სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გრანტით აღებული საგარეო ვალი 2003 წლის 1775 მლნ აშშ დოლარიდან, 2009 წლისთვის 2925 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 64,8%-ით გაიზარდა და, რაც მთავარია, აქედან ერთი ლარიც არ მოხმარდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დაუფლებას, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის სტაბილურ დასაქმებას.

– სახელმწიფო სტრუქტურებში თქვენი მოღვაწეობის ბოლო, ანუ 2007 წელს, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 5665 მლნ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით თითქმის ორი მილიარდი დოლარით გაიზარდა.

– საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის, მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით, პირველი ადგილი უკავია.

– უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობა ჩამოყალიბდა მთლიანი შიდა პროდუქტისა (როგორც უცვლელ, ისე საბაზისო

ფასებში) და საგარეო ვალის ზრდის ტემპების შეფარდების თვალსაზრისით. კერძოდ, 2003 წელს, საგარეო ვალის შეფარდებამ მთლიან შიდა პროდუქტან 44,5% შეადგინა, ხოლო 2007 წელს – 75,1%.

\* \* \*

თქვენი საქმიანობის პერიოდში უგულებელყოფილ იქნა პრივატიზების პროცესის ჩვენეული ხედვა, მსოფლიო გამოცდილება და საქართველოში ყველაფერი ხელაღებით გაიყიდა. ჩვენი გაოვლებით, პრივატიზების პროცესიდან ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უნდა შეხვედროდა 12000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება, ნაცვლად მიღებული ერთი ვაუჩერისა, რომლის ღირებულება არ აღმატებოდა 30 აშშ დოლარს. ამით ხელისუფლებამ მოსახლეობას შეგნებულად ჩამოართვა უფლება თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ეროვნული კაპიტალბრუნვის სივრცეში, რაც საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი იქნებოდა.

\* \* \*

თქვენი არასწორი და გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად სახელმწიფოს არ დაუტოვეთ საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები და ჩამოართვით უფლება არეგულიროს და მართოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების არასწორი, გაუმართლებელი პოლიტიკისადმი თქვენი შემწყნარებლური და პარტნიორული დამოკიდებულების გამო, სერიოზული ზიანი მიადგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. კერძოდ, თქვენ მხარს უჭერდით მათ რეკომენდაციებს, რომ: თუ ქვეყანას ამა თუ იმ საქონლის წარმოება იმაზე ძვირი უჯდება, ვიდრე იგი მსოფლიო ბაზარზე ღირს, ასეთი საქონელი მან არ უნდა აწარმოოსო. ე. ი. გამართლებულად მიგაჩნდათ საქართველოში მარცვლეული კულტურებისა და ქართული მევენახეობის უნიკალური ჯიშების ამოძირება. საქართვე-

ლოს ეკონომიკას მწარმოებელი ანუ დოკუმენტის შემქმნელის ნაცვლად, პრიორიტეტი უნდა აეღო მომხმარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე და ა. შ.

\* \* \*

სპეციალური განხილვის საგანია გახმაურებული თურქელი კრედიტის თემა. კერძოდ, უხეშად იყო დარღვეული მისი განაწილების წესი; იგი არ მოხმარდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას; არ დამყარდა კონტროლი კრედიტის დაბრუნების მექანიზმის შემუშავებაზე; პრობლემის შესასწავლად შექმნილი სპეციალური საპარლამენტო კომისიის ვრცელი დასკვნა და რეკომენდაციები განუხილველად აღმოჩნდა პარლამენტის არქივში!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღევანდელი თქვენი ამბიციები ჩემთვის გაუგებარია. უფრო მეტიც, ორჯერ ფინანსთა მინისტრად და საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარევ ყოფნისას, სათანადო ცოდნა, გამოცდილება და თვისებები რომ გქონდათ, ქვეყანა დღევნდელ მდგომარეობამდე არ მივიდოდა.

და ბოლოს, ერთი შეკითხვაც. მიგაჩნიათ თუ არა კატასტროფად ის, რაც ამ დღეებში ქვეყნის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა დავთ იაკობიძემ განაცხადა: “საქართველოს საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე უკვე 20000 აშშ დოლარს აღწევს, ანუ თითოეულ ოჯახს საშუალოდ უკვე 60-80 ათასი აშშ დოლარი ვალი აქვს და თუ აცნობიერებთ ამაში თქვენს პასუხისმგებლობას?

2010 წელი

# ქ არ კიუ, რა არის სიყვარული...

რამდენიმე დღის წინათ სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამი-  
ვარდა ერთი ძალიან პატარა წიგნი, რომელიც ერთ საათში წა-  
ვიკითხე, მაგრამ ისე ამაფორიაქა და დამარტიანა, რამდენიც არ  
უნდა ვეცადო, იმ ემოციის გადმოცემას კარგა ხანს ვერ შევძ-  
ლებ.

წიგნის სახელწოდებაა „მათხოვრის დღიურები“. ავტორი გიორ-  
გი სისაური მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა. რამდენიმე ამონარიდს  
გაგაცნობთ და მათზე განსჯაა-ბაასი თქვენთვის მიგვინდვია. რაც  
შეეხება პირადად ჩემს პოზიციას, როგორც ერთი რიგითი ეკო-  
ნომისტი, უახლოეს პერიოდში ამ მოცულობით პატარა წიგნს,  
ჩემი ნაშრომთა ციკლის „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს მეშვიდე  
ნაწილს მივუძღვნი, რომელშიც შევეცდები აკსნა, თუ რამ მიიყ-  
ვანა ეს ჩვიდმეტი წლის გენიოსი და მისი თაობის გარკვეული  
ნაწილი ამ მდგომარეობამდე. ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამეთ-  
ვლება, მსგავსი რამ ძალზე იშვიათად წამიკითხავს.

„ნამდვილად არ მინდა იმ ადამიანთა უსულო ცრემლი და გულუბრყვილო, უგულო შებრალებაა, რომლებიც დღეს თვითონ არიან შესაბრალებელნი. მათი განმკითხავი მხოლოდ ღმერთია და არა მე, რომელიც არც ცხოვრებას შევუბრალებივარ, არც იმ გულუბრყვილო ადამიანთა ერთობლიობას, რომელთაც მე გაყინულგულა არსებებს ვეძახი“.

\* \* \*

„მე არ ვიცი, რა არის სიყვარული, იმიტომ, რომ არასდროს არავის ვყვარებივარ, მაგრამ ყველაზე მეტად მისი გაცემა შემიძლია — მათვის, ვინც იმსახურებს ამას და ასევე მათვისაც, ვინც არ იმსახურებს“.

\* \* \*

„ისიც კი არ ვიცი, რა არის ჩემი ცხოვრების აზრი, რომელიც სადღაც დავკარგე ასე, ამოუცნობლად. არც მეგობარი მყავს, არც ცხოვრების გზამკვლევი. ამ მცირე დროში ვისი დამეგობრებაც შემძლო, ის სულ თან დამდევს ფეხდაფეხს: სიღატაკე, ცრემლები, შიმშილი, ობლობა. უპატრონოდ დავეხეტები ქუჩებში მცირეოდენი ლუკმაპურის მოსაპოვებლად, რათა ცხოვრება შევძლო, მაგრამ ყველაფრით მადლობელი ვარ უფლისა, რომ ამ მცირედს მაინც მაძლევს და დახმარების ხელს მიწვდის, თუნდ დღეში ერთი პატარა ნატეხი პურის სახით, რომელსაც ჩემს საყვარელ უმცროს დაიკოს ვუყოფ. ის ხომ სულ რაღაც რვა წლისაა. ადამიანი, რომელზეც ძვირფასი არავინ მყავს, ძვირფასი კი არა, საერთოდ არავინ მყავს მის გარდა. ღმერთო, კარგად ამყოფე ჩემი პატარა ელენე!“

\* \* \*

„ახლა შუალამეა, ელენეს უკვე სძინავს. დღეს მოვახერხე და ერთი ფუნთუშა ვუყიდე პატარას. ანგელოზივით სძინავს. უნაზესი სუნთქვა მის კულულებიან წაბლისფერ თმას ისე არხევს, როგორც სიო. მასთან ახლოს მივიწიე და გულში ჩავიკარი. ერთმანეთზე დალაგებული პატარა ხელები მანაც მომხვია. ზედ რაღაც დაძონძილი, ძველისძველი თხელი პლედი გვაფარია ორივეს“.

\* \* \*

„ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკვირდები ამა თუ იმ, ძველი თუ ახალი ფილმების აფიშებს. უკვე მექქსე წელია, უიმედოდ ვოცნებობ რომელიმე ფილმზე დასწრებას, მაგრამ ბედისწერამ საუკუნოდ მოკეტა კარი ჩემსა და მას შორის. საგმარისია ამ ზღურბლს გადავცდე, რომ ყველა ზიზღით მიყურებს და თვალებით, გამოხვდვით იმას მეუბნება: წადი! შენი ადგილი აქ არ არისო. რა თქმა უნდა, ასეა! აბა, დაძონძილსამოსიანი, ღონემიხდილი და სიცივისგან გალურჯებული ვის რაში სჭირდები... შენ ხომ არავინ ხარ მათთან შედარებით“!

\* \* \*

„ათასში ერთი თუ ჩაგივლის ისეთი, რომელიც გაგიღიმებს და უცნობ სითბოს გაგრძნობინებს. ყველანაირ მატერიალურ დახმარებას მირჩევნია დღეს ეს – მორალური დახმარება... ვიღაცის სითბო, რომელიც ძალზედ მაკლია. ალბათ, ესეც ჩემი ხვდრია, რომ მარტომ გავიკვალო გზა სიბნელესა და სიცარიელეში, ყოველგვარი სითბოსა და სიყვარულის გარეშე“.

\* \* \*

„არ ვიცით, სად ვართ და რატომ, რისთვის ვართ მოვლენილნი ამ ქვეყანაზე. დღევანდელი რეალობა და დღევანდელი დღე არის ის ეპოქა, სადაც უღმერთოდ მართავენ ქვეყანას. ვიღაცას მატერიალური ცხოვრება ჰვონია მთავარი და ჩაბლაუჭებია მძლავრად, ორივე ხელით, რადგან სხვა ფასეულობანი არ გააჩნია – ვერ ხვდება, რომ ერთი ხელი, დიახ – საკუთარი თავისთვის მოიხმაროს, ხოლო მეორე – გაჭირვებულთათვის“.

\* \* \*

„ტაძარში ღვთისმშობლის ხატთან მივედი და თვალებში ჩავხედე. ასე ვუყურებდი გაუნძრევლად რამდენიმე ხანი, სანამ მისაგან სითბო არ ვიგრძენი, დედობრივი სიყვარული და მფარველობა! შემდეგ ისევ ნელი ნაბიჯით გამოვედი ეკლესიდან და გზა განვაგრძე“...

\* \* \*

„ მაინც რისთვის ვარსებობთ?! რა მნიშვნელობა აქვს იმას, როდის მოკვდები?! უკვე მგონია, რომ მრავალი სიცოცხლე გამოვიარე, მრავალჯერ მოკვდი და მრავალჯერ დავიბადე. უკვე მრავალი ძვირფასი ადამიანი დავკარგე და ჩემი გულიც მათთან ერთად მოკვდა, დასამარდა მოგონებებისა და გრძნობათა ცივ მორევში... საუძუნოდ დაატყვევა იმ ტკივილმა ის შემართებაც და სიყვარულიც, რომელიც ოდესლაც მაკავშირებდა მათთან. მხოლოდ ერთი გამოსავალია ამ გრძნობათაგან გასათავისუფლებლად – ისევ სიკვდილი და ახალი სიცოცხლე. ადამიანი მაშინ კვდება, როდესაც ძვირფას ადამიანს ჰყარგავს. აქ ყოფნას და სიცოცხლეს ვერ დააფასებ, ერთხელ მაინც თუ არ მოკვდი!“

\* \* \*

სიკვდილის არ უნდა გვეშინოდეს, პირიქით, ფართოდ უნდა გავუღოთ მას სიცოცხლის კარი. ოღონდ არანაირი მოლაპარაკება, არანაირი ფარსი, მხოლოდ სიმართლე! მასთან ასეთები არ გავივა, ის ხომ ძალზედ პუნქტუალურია! ასე რომ – მასზე კარგად არავინ იცის, როდის მოგაკითხავს გასასეირნებლად“.

\* \* \*

„ადამიანი იბადება თუ არა, მაშინვე კვდომას იწყებს, რადგან სიცოცხლის პირველი წამის ათვლისთანავე, პარალელურად ათვლას იწყებს სიკვდილის წამიც... სიკვდილი, უბრალოდ ის პორტალია, რომელიც სხვა სიცოცხლეს გჩუქნის სრულიად უანგაროდ, სწორედ ეს უანგარობაა ის თვისება, რომელიც გამოარჩევს მას ადამიანთაგან!“

\* \* \*

„.... ადამიანთან ყველაზე ახლოს სიკვდილია, რადგან უბრალოდ, თავს ვერ აარიდებ მას ძალიანაც რომ გინდოდეს. ის არის მეგობარი, რომელსაც ვერ ხედავ, მაგრამ ყოველთვის გრძნობ მის სიახლოვეს. ახლა კი, იმაზე იფიქრე, თუ როგორ დაუმეგობრდე მას! მაგრამ იცოდე – სიკვდილს ერთი ძალზედ კარგი თვისება აქვს – ფულზე არ იყიდება და ძალიანაც რომ გინდოდეს – მას ვერ მოისყიდი. თვითნაბადი თვისებაა... ალბათ, დამეთანხმებით!“

\* \* \*

„ვინ თქვა, რომ მონათმფლობელობა აღარ არსებობს?! პირიქით, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში იმძლავრა მან ყველაზე მეტად ჩეგნს რეალობაში! აბა, გაიხედე ირგვლივ და შეხედე თანამედროვე მონებით მიმოფენილ გარემოს... დაახ, ესენი თანამედროვე მონები არიან!“

P. S. მაქვს გარკვეული დაპირება, რომ მოვხვდები ამ წიგნის პრეზენტაციაზე, სადაც, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩემთვის საინტერესო ბევრ კითხვას გაუცემა პასუხი.

ამასთან, ვსარგებლობ შემთხვევით და ვიტყვი, რომ ჩემთვის პასუხგაუცემელი რჩება კითხვა — ლოპოტის ხეობაში მიმდინარე ურთულესი პროცესებისა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნასთან გატოლებული კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების უმწვავეს პერიოდში რა ეექსკურსიებათ უცხოეთში დასვენების მოყვარულებს და რა აჯოტაუს ტეხნე მათი სასტუმროებში შეუვრჩებით დაბინავების შემთხვევების თაობაზე? ამასთან დაკავშირებით მახსენდება 90-იანი წლების სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს დაღუპულთა თბილისის აეროპორტში ჩამოსვენებისას ჭირისუფალთა და დამხვდლურთა გლოვის მომენტები და იმავდროულად დუბაიში სავაჭროდ და საგრიალოდ წამსვლელებისა და მათი გამცილებლების ზღვარგადასული ჟრიამული. რას ვიზამთ! „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“

2012 წელი

# იქნებ ჩვენსა გვეუს ჩვენი ეროვანდი?

ჩვენი სტუმარია საქართველოს დამსახურებული უკონომისტი,  
პუბლიცისტი ანზორ ბაბუხაძია

— ამ ბოლო ხანს ქვეყანაში ძალზე აქტუალური გახდა „ქარ-  
თული წყლის“ თემა. თუ იცნობთ ამ პრობლემას და რას ფიქ-  
რობთ მასზე?

თემას არა თუ მარტო ვიცნობ, არამედ გარკვეულად ჩართუ-  
ლიც კი ვარ მისი განხორციელების პროგრამის დამუშავებაში. ძა-  
ლიან მოკლედ თუ ვიტყვი, იგი თავისი მასშტაბებითა და აქტუა-  
ლობით საეტაპო მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც: ამ პროგრამის იმ  
სახით რეალიზაცია, როგორც ის არის ჩაფიქრებული, ხმამაღალა  
ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, საქართველოს არა მარტო გადა-  
არჩენს, არამედ ააყვავებს კიდეც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელო-  
ბით.

აქსიომაა, რომ ვინც პროგრამას ადგენს, მანვე უნდა მიიყვანოს  
იგი ბოლომდე. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ ბატონ ბიძინა  
ივანიშვილს და ბატონ დავით უსუფაშვილს, პირადად, გულდას-  
მით გაეცნონ ამ პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა მასალას. და  
იქნებ ზედმეტ უფლებასაც ვაძლევ ჩემს თავს, მაგრამ მაინც ვიტყ-  
ვი: თუ გაეცნობიან, დარწმუნებული ვარ, მათ აღარ მოუწევთ ქვეყ-  
ნის მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე ბევრი ფიქრი.

ბატონო ბიძინა, ბატონო დავით, მოსინჯეთ, იქნებ დაითანხმოთ  
ამ პროექტის ავტორი და სულისხამდგმელი, ცნობილი მეცნიერი

ბატონი პაატა გიორგაძე სათავეში ჩაუდგეს საქართველოს მომავალ მთავრობას, რათა თავად მოახდინოს ამ საოცარი და საოცნებო პროგრამის რეალიზაცია. რა ვიცით, მისი სახით, იქნებ ქართველებსაც გვყავს ჩვენი ლუდვიგ ერჰარდი ან დენ-სიაო-პინი.

— უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი თამამი განცხადების უფლებას გაძლიერთ თქვენი ორმოც წელზე მეტი წნის მუშაობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში, ანუ სამსახურებრივი უშუალო კავშირი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებთან, მათ შორის, ათამდე პრემიერ-მინისტრთან და რამდენიმე ათეულ მინისტრთან. თქვენმა ასეთმა ოპტიმისტურმა და თამამმა განცხადებამ მეც ძალიან ბევრი შეკითხვა გამიჩინა და, ალბათ, მათ შესახებ უახლოეს პერიოდში კვლავ შევხდებით ერთმანეთს და უფრო დეტალური და ამომწურავი საუბარი იმ დროისთვის გადავდოთ.

კეთილი და პატიოსანი, რადგან ასეთი სურვილი გაგიჩნდათ, დაახლოებით ერთ თვეში, აუცილებლად მოგიწვევთ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის გამართვასაც ვაპირებთ საქართველოს საპატიოიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში და მიეძღვნება „ქართული წყლის“ ანუ „ქართული სასწაულის“ პროგრამის დეტალურ განხილვას. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, რომ პირადად მე, არცთუ შორეულ მომავალში, თვალნათლივ ვხედავ „ქართული სასწაულის“ საოცნებო შედეგებს.

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა რუსლან რუსია  
გაზ. „საქ. რესპუბლიკა“, 17.IX.2012

## პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს პირველ შვიდ წიგნში

სათქმელი დროულად უნდა ითქვას. – 1998 წ.

„პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკურ  
საქმიანობას“ – 2001 წ.

უპასუხოდ დარჩენილი კითხვები. – 2001 წ.

პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი დალატობს. – 2000 წ.

გვახსოვდეს ბავშვები. – 2000 წ.

პასუხი ორ შეკითხვაზე. – 2001 წ.

ახლა მაინც წაიკითხონ ჩემი მათლამი გაგზავნილი წერილი. – 2001 წ.

ამბავი სხვადასხვა აქციისათვის თავშემონახული ხალხისა. – 2002 წ.

მოკლეს თბილისი, ჩვენი თბილისი, მთლად გააბახეს დედაქალაქი. – 2002 წ.

საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როდი ნიშნავს! – 1992 წ.

გადაახდევინეთ მილიონი და აშენოს რამდენიც უნდა. – 2001 წ.

არჩევნები, ო, ეს არჩევნები! – 1999 წ.

„საერთაშორისო საგალუტო ფონდი – სიკეთე თუ ბოროტება“ – 2005 წ.

რეგულირება თუ დერეგულირება? – 2005 წ.

მხოლოდ პროფესიონალიზმი გადაგვარჩენს – 2002 წ.

აღსრულდა ნოე ჟორდანის წინასწარმეტყველება, კომუნიზმის ლიკვიდაცია  
კომუნისტების მეთაურობით განხორციელდა – 2003 წ.

პოლიტიკოსები ისევ ქურდობენ – 2003 წ.

„სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი  
პარლამენტი“ – 2003 წ.

პრობლემა ნომერი პირველი – 2003 წ.

პრივატიზაცია – შეცდომა თუ დანაშაული? – 2004 წ.

კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ? – 2004 წ.

თამამად ვეძებოთ აღტერნატიული ვარიანტები – 2004 წ.

ვერანაირი აზალი კანონი ვერ გვიშველის, თუ ეკონომიკის  
განვითარების რადიკალური პროგრამა არ შემუშავდა – 2004 წ.

საჭიროა მარტივფორმულიანი კონკრეტული პროგრამა – 2004 წ.

გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები, ასე ეკონომიკას  
ვერ ავაშენებთ – 2005 წ.

შევხდოთ სიმართლეს თვალებში – 2005 წ.

ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუხაროდ,  
ვერ ასე შორია? – 2005 წ.

ხსნის ერთადერთი გზა საყოველთაო შრომაა – 2005 წ.

საკონტროლო-სალარო აპარატების ყველა დონეზე დანერგვის აბსურდულ  
მოთხოვნებს მის დისკრედიტაციამდე მივყავართ – 2006 წ.

შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და  
დღესაც ანგრევს – 2007 წ.

რას გვიქადის და დაქცევას, განადგურებას! – 2007 წ.

ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმები – 2008 წ.

პრეტენდენტებს - მხოლოდ თანაბარი პირობები – 2008 წ.

აურჩეველი რჩეული – 2008 წ.

ქვეყნის განადგურების გეგმას მთელი ერთ წინ უნდა აღუდგეს!  
იქნებ ერთს სულიერ მამას მაინც მივუგდოთ ყური – 2009 წ.

საკუთრების გარეშე კაცს სამშობლო არა აქვს – 2009 წ.

საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის ქართული გეგმა – 2009 წ.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს –  
ვინ და რატომ ცდილობს ხალხის და ხელისუფლების  
დაპირისპირებას?! – 2004 წ.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას – 2010 წ.

ღია წერილი ქართველ მწერლებს – საქართველოს მწერალთა  
XX ყრილობაზე ვერნათქვამი სათქმელი – 2000 წ.

ღია წერილი ბატონ თამაზ წივწივაძეს – 2001 წ.

ღია წერილი ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ  
ხელისუფლებას – უპასუხოდ დატოვებული კითხები – 2001 წ.

ღია წერილი ბატონ თამაზ კვაჭანტიარაძეს – ვაითუ ჩვენი ენა ქართული  
ისტორიის კუთვნილება გახდეს... – 2010 წ.

ღდა წერილი ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს – თქვენგან ამას  
არ ვეღლოდთ – 2010 წ.

ღდა წერილი ბატონ ბაჩო ახალაიას – დაღუპული გმირების სახელების  
უკვდაფულფაზე ზრუნვა ყველას უპირველესი საქმეა! – 2010 წ.

ღდა წერილი ბატონ ზურაბ ნოღაიძელს – ზოგიერთი ამონარიდი თქვენი<sup>1</sup>  
წარსული საქმიანობის შეფასების საბრალდებულო დასკვნიდან – 2010 წ.

ღდა წერილი ხელისუფლებას – „ოღონდ ქართულად ვიღაარაკო“ – 2007 წ.

ღდა წერილი „მწერალ“ ლაშა ბუღაძეს – ყველაფერს აქვს საზღვარი,  
თვით თვალსაზრისსაც კი! – 2010 წ.

ენა გადავრჩინოთ, ქართველებო! – 2010 წ.

რომელი ეპოქა უფრო რყვნის ჟურნალისტებს? – 2010 წ.

შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიზდება!.. – 2011 წ.

ჩვენი დამაქცევარი საბჭოთა სისტემა... – 2011 წ.

ახალგაზრდობა – იმედი ხვალის... – 2011 წ.

კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს! – 2011 წ.

ღდა წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ დავით ბაქრაძეს – ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების  
სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს! – 2011 წ.

„...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა, როგორც ერი!“ – 2011 წ.

ნაციონალებს ზმას არ მიგცემ! – 2012 წ.

სანამ შევიგნებთ, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავ ხელთაა! – 2012 წ.

დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საპრალდებო დასკვნისთვის – 2012 წ.

„ქაჯები მოღიან“ და მრავლდებიან... – 2012 წ.

შეეშვით ხალხის დაბოლებას, ქმარა! - 2012 წ.

რაც მოგივა დავითაო... - 2012 წ.

ურემი უკვე გადაბრუნდა, ფრთხილად! - 2012 წ.

როდის მოელება ბოლო თქვენს ყელყელაობასა და ბრაზაბრუქს?! - 2012 წ.

ქართული ენა შველას ითხოვს! - 2013 წ.

გთავაზობთ რუბრიკა „ფოტობრალდების“ აღდგენას - 2013 წ.

ეს ხელისუფლება მართლა ფრთხილობს თუ მართლა „ბუქსაობს“? - 2013 წ.

„ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის სახელმწიფო  
ბიუჯეტიდან დაფინანსების წინააღმდეგი ვარ“ - 2013 წ.

ღია წერილი „სხვა საქართველო სად არის?! ანუ რა უნდა ეწოდოს  
ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე! - 2013 წ.

**პუბლიკაცები, რომელიც არ შესულა კრებულებში  
„შეცდომა თუ დანაშაული?!“**

ვაჭრობა, მომსახურება: რა მოგვლის? რა გვეშვილება?  
გაზეთი „თბილისი“, 16 ივნისი, 1990 წელი

**პრივატიზაცია? დიახ, მაგრამ...**  
გაზეთი „რესპუბლიკა“, 30 ივნისი, 1991 წელი

საბაზო ეკონომიკას მომავალი თაობა გადავაყოლეთ  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 სექტემბერი, 1996 წელი

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ელუარდ შევარდნაძეს  
„სახალხო გაზეთი“, თებერვალი, 1999 წელი

ვიაზროვნოთ, მოუხდავად იმისა, რომ ეს ხელისუფლებას არ მოსწონს!  
„ქართველი ძლიერია უფსერულის პირას მიყენებული“  
„დილის გაზეთი“, 23 აგვისტო, 1999 წელი

გაყინული ექსპერიმენტი, ანუ მინისტრებმა პრეზიდენტის დავალება მიიყურისძირეს  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 თებერვალი, 2000 წელი

ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ზომ არ აკეთებენ  
(გაყინული ექსპერიმენტი)  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მარტი, 2000 წელი

ექსპერიმენტი, რომელიც შემოსავლების გაორმაგებას გვპირდებოდა,  
სახლისუფლებო ქსელში „გაჭედეს“  
გაზეთი „დრონი“, 18 ივლისი, 2000 წელი

დაუ, იმინოს ბრძანაც და ყრუმაც!  
გაზეთი „სარგებლი საქართველოსი“, იანვარი, 2001 წელი

ღია წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს,  
ბატონ თამაზ წიგწიგობეს  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 9-15 თებერვალი, 2001 წელი

**ფიქსირებული გადასახადები ტოტალური საგადასახადო კორუფციის  
შემცირებისა და მეწარმების გადარჩენის ერთადერთი შანსი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 2001 წელი**

**ჩვენთან პროფესიონალიზმის დეფიციტია  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივლისი, 2002 წელი**

**ხმამაღლა სათქმელი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, 2003 წელი**

**ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივალო  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 ოქტომბერი, 2003 წელი**

**ნუ იქნებით „სტავკების“ ტყვეობაში, ნუ გადაიხდით ქრთაშს თქვენი შვილების  
უსწავლელობაში  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2004 წელი**

**ვინ რას მიღებს პრივატიზაციიდან?  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2004 წელი  
რატომ ამჯობინებენ დუმილს მეცნიერები?  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 2004 წელი**

**გადასახადების ამტევთ შემოქმედებითი მიღვომა აღარ დასჭირდებათ  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 2005 წელი**

**„მაგიური“ ბრძანება ანუ „საით მიდისარ, საცოლავო საქართველოვ?!**  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა, №5, მარტი, 2005 წელი

**ფიქსირებული გადასახადი და სიღარიბის დაძლევა  
გაზეთი „მცირე მეწარმე“, ივლისი, 2005 წელი**

**მეტი დაფიქრება გმართებთ, ბატონებო!  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 სექტემბერი, 2005 წელი**

**დროა თავი დაანებონ ხავსზე მობდაუჭებას  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 2005 წელი**

**Сначала надо заживать рану, а потом уже думать о шраме**  
газета “Свободная Грузия”, 17 ноября, 2005 г.

**„სოფლის შენებას რა უნდა“**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, 2005 წელი

**საზოგადოებრივი ტელევიზია საქუთარ საზოგადოებას დასცინის**  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 მარტი, 2006 წელი

**„სახელი ხალხისა, სახრავი – სხვისა“ ანუ ვის ინტერესებს იცავს**  
საზოგადოებრივი მაუწყებლობა?

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მარტი, 2006 წელი

**ბუმერანგი უკვე დაგვიძრუნდა, ქვეყნა სულ დაფავს**  
გაზეთი „ქრონიკა“, 30 ოქტომბერი, 2006 წელი

**ესენი თავის ჯიბის მაყურებელი ხალხია**  
გაზეთი „ქრონიკა“, 6 ნოემბერი, 2006 წელი

**ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანალგურებენ**  
„საერთო გაზეთი“, 15 მაისი, 2007 წელი  
საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ნოემბერი, 2008 წელი

**საქართველოში კანონის შეუსრულებლობის უზნაესობა მეფობს**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 2008 წელი

**ვის ხარჯზე მდიდრდებან ჩინოვიკები?**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 დეკემბერი, 2008 წელი

**იტყვის ნოლაიდელი სიმართლეს?**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი, 2009 წელი

**ნუ დავასხამთ წყალს სხვის წისქვილზე**  
„საერთო გაზეთი“, 25 ოქტომბერი, 2009 წელი

**პოლიტიკოსები იწყებენ ქურდიბას, ქურდები – პოლიტიკოსობას**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 მარტი, 2009 წელი

**რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნისა და ხალხის ღალატი „საერთო გაზეთი“, 11 მარტი, 2009 წელი**

**თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი გავწყვიტეთ, წარმოუდგენელი კატასტროფა გველის „საერთო გაზეთი“, 14 აგვისტო, 2008 წელი**

**მაისაშვილისგან უარესაც უნდა ელოდეთ!**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აპრილი, 2009 წელი

**მოაზროვნე საზოგადოება ამას უკვე აღარავის აპატიებს**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 იანვარი, 2010 წელი

**შინაური მტერი – მტერზე უფრო მტერი!**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 იანვარი, 2010 წელი

**დღნის სუნი მცენს**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 აპრილი, 2010 წელი

**ბაქიბუქის დრო დამთავრდა, გადადით ქონკრეტულ საქმეზე!**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 ნოემბერი, 2010 წელი

**ყურცველია ბიუროკრატი**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 მარტი, 2011 წელი

**დღა წერილი ბატონებს თამაზ წივწივაძეს და რევაზ მიშველაძეს**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 სექტემბერი, 2013 წელი

**ქმარა ხალხის დაბოლება**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 ოქტომბერი, 2013 წელი

**ქუთაისი მუდამ ქუთაისად დარჩება!**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2013 წელი

**იქნებ ახლა მაინც გამოვიტანოთ სათანადო დასკვნება!**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 ნოემბერი, 2013 წელი

**ახალ პრეზიდენტს გამარჯვებას ვულოცავ და ვურჩევ, მიხედოს დემოგრაფიას**  
და ენის გადარჩენის საკითხებს  
„საერთო გაზეთი“, 13 ნოემბერი, 2013 წელი

# საჩხელი

ავტორისაგან	3
„რაცა ვარ, ესა ვარ“	5
რეგულირება თუ დერეგულირება	19
პრივატიზაცია? დიახ, მაგრამ...	36
საქართველოს მწერალთა ყრილობაზე ვერნათქვამი სათქმელი	41
ენა გადავარჩინოთ, ქართველებო!	45
პრობლემა ნომერი პირველი	51
ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები	57
არჩევნები, ო, ეს არჩევნები	64
ქაჯები მოდიან და მრავლდებიან	78
ღია წერილი ნოღაიდელს	83
მე არ ვიცი, რა არის სიყვარული	88
იქნებ ჩვენცა გვევავს ჩვენი ერპარდი?	93
პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს პირველ შვიდ წიგნში	95
პუბლიკაციები, რომლებიც არ შესულა კრებულებში „შეცდომა თუ დანაშაული?!“	100





თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომი-  
კის თავმჯდომარებელის წარჩი-  
ნებით დამთავრების შემ-  
დეგ (1966 წ.) ანტონ  
შამხეადიამ განვლო გზა  
ტიგითი ეკონომისციდან  
საქართველოს მთავრობის  
მთავარ სახელმწიფო მტ-  
ჩილიამდე. წლების განმავ-  
ლობაში მიწვევლი იყო  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში ეკონომი-

კის პროფესიის თავმჯდომარებელი სახელმწიფო საგამოცდო  
კომისიის თავმჯდომარებელი. დამთავრებული აქვს სსრ კავ-  
შირის მინისცეტთა სამჭოთან არსებული სახალხო მე-  
ურნების აკადემია. არის საქართველოს დამსახურებული.  
ერთ-ერთ უნივერსიტეტი; გაჩით „თანადგომა“-ს გამომცემული.  
მისამართის ინცერტსერვის დაცვის კავშირის თავმჯდომარე.  
დაჯილდოებულია „ღირსების არძოვით“, იაკობ გოგიაშ-  
ვილის მედლით, ნიკო ნიკოლაძის სახელმწის პრემიით,  
გურამ ანგარიშით სახელმწის საქართველოში თონდის  
ოქტომბერის მედლით.

აჯცორია წიგნებისა: „მხოლოდ თანადგომა გადაგვარ-  
ჩენს“ (1998 წ.); „შეცდომა თუ დანაშაული?!“ (შვიდ ნაწ-  
ილად (2003-2013 წწ.); „კვლავაც გრძელოთ და ჩვენვე ვი-  
კითხოთ?!“ (2004 წ.); „პრობლემა ნომერი პირველი“  
(2005 წ.); „აფხაზეთა, საცემავარო ჩვენო!“ (2006 წ.); „გზა  
ვარდისფერი“ (2007 წ.).

მინიჭილი აქვს ჩოხოსანი რაინდის წოდება.

ანზორ პაპებალია

ქასალები

„საბრალოებით

დასკვნისთვის“

სმ „ნალვანის“ გასხვებთ თქვენულსძი ჩემი განსა-  
კუთრებული დამოკიდებულების დასცურსლ-  
ოქვენის შენიშვნებს და წინასლებებს გავი-  
თვალისწინებ მომავალ საქმიანობაში.  
ილოგონდელი!

სტერ პატუხალია

# სახელთა საქითხელი

ვერიკო ანჯაფარიძე -----	8
ავთანდილ არაბული -----	48
შუქია აფრიდონიძე -----	48
ბერიკა ბაბუხადია -----	5
ბერიკა გელოვანი -----	5
ზაზა გაჩეჩილაძე -----	47
მანანა გიგინეიშვილი -----	47
პაატა გიორგაძე -----	9
რისმარგ გორდეზიანი -----	47
გოგი დოლიძე -----	2
დენ-სიაო-პინი -----	94
თამაზ ებანოიძე -----	48
ლუდვიგ ერჟარდი -----	4, 94
შადმან ვალავი -----	13
სალომე ზურაბიშვილი -----	46, 79
დავით იაკობიძე -----	87
ბიძინა ივანიშვილი -----	70, 93
თამაზ კვაჭანტირაძე -----	47
გუჯა მაკარიძე -----	48
თინათინ მარგალიტაძე -----	48
გია (გიორგი) ნიჟარაძე -----	47
ზურაბ ნოღაიდელი -----	83
მარიკა ოძელი -----	48
ვახტანგ როდონაია -----	47
რუსლან რუსი -----	94
გიორგი სისაური -----	88
ანატოლი სობჩაკი -----	11, 62
დავით უსუფაშვილი -----	93
გურამ ფანჯიკიძე -----	18
თეიმურაზ ქორიძე -----	72
ლევან ლვინჯილია -----	46, 47
ჯანსულ ლვინჯილია -----	65
ლევან ჩიქვანაია -----	47
სოსო ცისკარიშვილი -----	47
სოლიკო ხაბეიშვილი -----	9